საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა. 28 დეკემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [illegible] ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] დზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. პირველ გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 6—62.

№ 297 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა № 297

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას, 28 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე თფილისის სამაზრო ერობის შენობაში (რუსთაველის პრისპ. № 6) დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი განსვენებულ ამხანაგის

**ვენე ნიკურაძის (ალათიშვილის)**

გარდაცვალებიდან წლის თავის აღსანიშნავად. (უფ 2—2)

---

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფი მშობლები: მღვდელი იოანნე და ნინა ალექსის ასული, მეუღლე სერაფიმა (ფუფა), ძმა ტრიფონი, ძმა კალისტრატე, დები ნადია და ქსენია, რძალი ეკატერინა (ძაბული) ნესტორის ასული ჩარკვიშვილები, სიძე ვანო, დისწულები მარუსია, კუკული და ლუტუ სალარაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება 30 დეკემბერს, დღით სამშაბათს უდროვოდ გარდაცვალებულის მეორე ქართული პოლკის დრანდრის რაზმის უფროსის კაპიტანის

**იპოლიტე იოანეს ძე ჩარკვიშვილის**

სულის მოსახსენებლად სოფ. კონტუათის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში. (3406—3—2)

---

გულმოკლულნი: ძმა ნესტორ იობის ძე შავგულიძე და ცოლი მისი სოფიო მიხეილის ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი

**იოსებ იობის ძე შავგულიძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება კვირას 28 დეკემბერს ნაშუადღევის 3 ს. ქუთაისში. გამოსვენება პავლოვაძის ქუჩიდან. (3413—1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: იობი სიმონის ძე და ტატო გრიგორის ასული, მეუღლე სოფიო ვასილის ასული, შვილები: ვენერა, თამარა და შოთა, დები: სიდონია, ოლღა, ლუბა, ნინა და მარიამი, ძმები: ნესტორი, გერასიმე, დავითი შალვა და გრიგორი, რძლები: სოფიო მიხეილის ასული და ანეტა პავლეს ასული შავგულიძეები, სიძეები: ვლადიმერი მოსეს ძე ვეკუა, ზოსიმე ექვთიმეს ძე აბზიანიძე და ვასილი პეტრეს ძე ნებიერიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარი ექიმ

**იოსებ იობის ძე შავგულიძის**

გარდაცვალებას, დასაფლავება კვირას 28 დეკემბერს ნაშუადღევის 3 ს. გამოსვენება ქუთაისში პავლოვაძის ქუჩიდან. (3413—1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი: მამა მოსე, დედა ოლინკა, ძმები: ვარლამ, სანდრო და დანიელი, რძლები: მარიამ და მაშიკო მეგრელიშვილები, ზოძა მურძა, დეიდა ელენე, დეიდაშვილები: ლაკრო, ლიუბა, ნადია და ანიჩკა გუჯაბიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 24 დეკემბერს დ. სუფსაში გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობით მათთვის დაუვიწყარი მოწაფე

**პარმენ (კაკო) მოსეს ძე მეგრელიშვილი**

გამოსვენება სუფსიდან 25 დეკემბერს სოფელ ხორეთში. დაკრძალვა 27 დეკემბერს 3 საათზედ მოეჯნის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში—სოფელ ხორეთში (გურიაში) (ფ. 1—1)

---

ღრმად დამწუხრებული ზინო კალანდარიშვილი, ანდრო ხოფერია, სანდრო ლადიანი და გიორგი მერაბი აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 24 დეკემბერს გარდაიცვალა სენაკის სამაზრო საავადმყოფოში

**ივანე (ვანიჩკა) ალექსის ძე გერიძე**

(ფ. 1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ნინო, მამა ლევან, ძმა კოტე, და მაკრინე, ბიძები: ივანე და იაგორ მიხაილის ძენი, ძალოები: ნინო და კატო გომელაურები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, 28 დეკემბერს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი პეტროგრადის სამედიცინო აკადემიის 2 კურსის სტუდენტის, სომხებთან ომის დროს, ბრძოლის ველზედ დაღუპულ ძვირფას და დაუვიწყარ

**დიმიტრი ლევანის ძე გომელაურის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 ს-ზე, პანაშვიდი 12 საათზე. 3404—1—1)

---

ღრმად დამწუხრებული ნინო იოსების ასული ბოცვაძისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 28 დეკემბერს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ მეუღლის, განსვენებულის

**ლუარსაბ გერასიმეს ძის ბოცვაძის**

სულის მოსახსენებლად. (3396 2—2)

---

საშა, ბესარიონი და ვალიკო ბოცვაძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას, 28 დეკემბერს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი ბიძის

**ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძის**

ხსოვნის აღსანიშნავად. წირვა დაიწყება 10 ს. პანაშვიდი 12 ს. (3408—1—1)

---

ქეთია და ალექსანდრე ისაკიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ კვირას, 28 დეკემბერს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ ბიძის

**ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძის**

ხსოვნის აღსანიშნავად. წირვა დაიწყება დილის 10 ს. პანაშვიდი 12 ს. (3408—1—1)

---

აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობა და ჟურ. „განათლების" სარედაქციო კოლეგია აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 28 დეკემბერს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ცნობილი პედაგოგის და ჟურ. „განათლების" რედაქტორის

**ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძის**

სულის მოსახსენებლად. (3415—1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მელიტონ, შვილები: ნინა, კლლია და მარუსა ნადირაშვილები, დედა, მამა, და, ძმა—ბიძები მუჩაიძეები და მაზლები გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულათ გარდაცვალებას მათთვის ძვირფასის

**ეკატერინა** დავითის ასული **ნადირაშვილისას**

გამოსვენება კვირას 28 დეკემბერს დილის 11 საათზე, ბინიდან, (გოგოლის ქ. 55) დასაფლავება წმ.. ნინოს სასაფლ (3314—1—1)

---

თვალცრემლიანი: დეიდა ფოტინე, დეიდაშვილები: ვლადიმერ და ივანე ექვთიმეს ძე ხელაძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს საყვარელ ექიმი

**იოსებ იობის ძე შავგულიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს ქ. ქუთაისში. (3420—1—1)

---

## მიწად-მოქმედების სამინისტროს წყალთა განყოფილება

ამით აცხადებს, რომ 2 იანვარს 1920 წ. დღის 12 საათზე, ქ. თფილისში წყალთა განყოფილების ბინაზე (საპიორის ქუჩა, სახელმწიფო დაწესებულებათა სახლი, ყოფილი კადეტთა კორპუსში) შესდგება კონკურენცია ყარაიაზის ეროვნულ მამულის მოსარწყავ სისტემის (თფილისის მაზრაში) კაპიტალური რემონტის სამუშაოს იჯარით გაცემისა. განმეორებით კონკურენცია (переторжка) დანიშნულია 5 იანვარს, 12 საათზე.

მთავარი სამუშაოების დაახლოვებით რაოდენობა: მიწის სამუშაო 8900 კუბ. საჟ.; ბეტონის წყობა 24 კუბ. საჟ. და სხვა სამუშაო საერთო ჯამი დაახლოვებით 3,000,000 მანეთია. სამუშაოს გაცემა შეიძლება ნაწილობრივადაც: 1) მთავარი მარიამის არხის რემონტი 1,800,000 მან., 2) განმარიგებელი და შემკრები არხის რემონტი 663.000 მან. და 3) ხუთი წყლის საგუბარის რაბების აშენება მარიამის არხზე 456.000 მან.

განცხადებების შეტანა შეიძლება დაბეჭდილ კონვერტებში და აგრეთვე პირადი მოლაპარაკება იჯარის შესახებ 2 იანვრამდის 1920 წ. 12 საათამდე.

ვისაც ამ კონკურენციაში ყველა სამუშაოებზედ მთლიანად ან ნაწილობრივად მონაწილეობის მიღება სურს, ვალდებული არის წარმოადგინოს 50.000 მან. ნაღდი ფული, ან კვიტანცია, რომ ეს თანხა შეიტანა ხაზინაში მიწად-მოქმედების სამინისტროს დეპოზიტში შეტანილი 50,000 მან. ხელშეკრულების დადებისთანავე ჩაითვლება მთავარ გირაოთ (коренной залогъ) რომელიც ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ შეივსება თანხიდგან, რომელიც მთავარ გირაოს თან ერთად უნდა შეადგენდეს 10 პროც. საერთო ღირებულებიდან ყველა აღებულ მოიჯარადრესაგან სამუშაოებისას. დრო სამუშაოების გათავებისა—15 მარტი 1920 წ. ხარჯთ აღრიცხვები, პროექტები და საერთო ტეხნიკური პირობები ხსენებულ სამუშაოებისა შეიძლება განხილული იქმნას ყოველ დღე 9—3 საათამდე. (3105—1—1)

---

## მომარაგების სამინისტრო

### აცხადებს საყოველთაოდ, რომ

1) თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლის 2 დეკემბრის მიღებულ მატყლზე მონოპოლიის გამოცხადების კანონისა, მატყლის ყიდვა-გაყიდვა, საზღვარ გარეთ გატანა და განაწილება შეადგენს სახელმწიფოს მონოპოლიას.

2) მატყლის ყველა მეპატრონები, მათ შორის დამრთავ-საქსოვ სახელოსნოების მქონენი, რომელთაც თავიანთ საწყობებში მოეპოვებათ მატყლი, ვალდებულნი არიან ორი კვირის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების გამოქვეყნებისა მთავრობის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", აცნობონ მომარაგების სამინისტროს მათ განკარგულებაში მყოფ მატყლის რაოდენობა და საწყობის მისამართი.

3) მატყლის საწყობების და სახლების მეპატრონენი, რომლებშიაც მატყლი ინახება, ვალდებულნი არიან მეორე მუხლში აღნიშნულ ვადაში აცნობონ მომარაგების სამინისტროს სად ინახება მატყლი.

4) ეს ვალდებულება ვრცელდება მოიჯარადრეებზე და მმართველებზე იმ ბინებისა, რომლებშიაც მატყლი ინახება.

5) მატყლის დამალვისათვის დამნაშავენი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში, ხოლო გადამალული მატყლი ჩამოერთმევათ დაკლებულ საჯარიმო ფასებში.

6) მთავრობის ყველა დაწესებულებებს, რომელთაც მოეპოვებათ ზემოდ აღნიშნული ცნობები, წინადადება ეძლევა დაუყონებლივ აცნობონ მომარაგების სამინისტროს.

(ნ. 2—1) მომარაგების მინისტრი.

---

# მოითხოვეთ ყველგან

უმაღლესი ხარისხის

# კონიაკი დაარაყი

ი. ძ. ლაზარევის

თფილისი კიროჩნი ქ. № 19. (3366—4—3)

---

## მიიღება ხელის მოწერა

# „ეშმაკის მათრახზე"

მხოლოდ ქალაქ გარეთ. ჟურნალი ღირს თვეში—24 მან. მისამართი: თფილისი, „ერთობის" რედაქცია, „ეშმაკის მათრახისათვის." (უფ.)

---

მომავალი წლიდან თფილისში სტამბიდან გამოსვლას განაახლებს ხომლელის ხელმძღვანელობით სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალი

# „თავისუფლება"

ჟურნალში ითანამშრომლებს ბევრი ნიჭიერი და მომზადებული მწერალი. ჟურნალი წლით ეღირება 200 მან., ნახევარი წლით 100 მან. თანამშრომელნი შემდეგ აქნება გამოცხადებული. დასაბეჭდი მასალა და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: თფილისი, სასამართლოს ქუჩა, 38, რომანოზ ფანცხავას. (ნ, 1—1)

---

## მომარაგების სამინისტრო

იწვევს ყველა ბ. ბ. მატყლის მესაკუთრეებს

მონოპოლიის შემოღების საკითხის გარჩევას შესახებ 29 დეკემბერს საღამოს 6 საათზე მომარაგების სამინისტროს შენობაში (ყოფილ კადეტთა კორპუსი) შესავალი ევანგულოვის ქუჩა. (ნ 2—1)

---

## მეორე ქართული კლუბი

აცხადებს, რომ კვირას, 28 დეკემბერს, კლუბის დარბაზში დანიშნულია გაგრძელება საზოგადო—

# საგანგებო კრებისა

დილის 12 საათზე. წესრიგი: 1) წესდების შეცვლა, 2) არჩევნები წევრთა და სხვა საკითხები. (ნ. 1—1)

---

## სანატორი ნ. მ. ქიქოძე

რომელიც მთავრობის თავმჯდომარის მინდობილობით აწარმოებს ტფილისის ქალაქის გამგეობის საბინაო განყოფილების რევიზიას, იწვევს ყველა იმ პირთ, ვისაც სურს რაიმე განმარტების ანუ განცხადების მიცემა საბინაო განყოფილების ან რომელიმე მისი მოსამსახურის მოქმედების შესახებ. გამოცხადდენ მასთან სასამართლო პალატის შენობაში (მე-3 სართული).

განცხადების მიღება ყოველ დღე დილის 11 ს. 12 მდე. (2416—2—1)

---

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების საეკონომიო საზოგადოება (ყოფილი ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოება)

აუწყებს სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებს, რომ 29 დეკემბრიდან დაიწყება საზოგადოების

# წევრების ჩაწერა

ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების კანტორაში (კირკის ქუჩა № 7) ტელეფონი 12. (ნ. 2—1)

---

გამოვიდა გასაყიდათ თვიური სალიტერატურო ჟურნალი

# „ცისარტყელა"

**შინაარსი:** ს. აბაშელი 1) Un déserteur, 2) დათალხული ფირუზი, 3) თეთრი ხომალდი. ბაბილინა—წერილი, დუტუ მეგრელი—უკანასკნელი ნატვრა, ხარიტონ ვარდოშვილი—1) ხალისის დამალვა, 2) გადარეული, 3) უბედურება. იბოლი მუშა—1) იისფერი ლრუბლები, 2) სამსხვერპლოზე, 3) დილა. ვარ. რუხაძე—1) სიმღერა, 2) მწუხრება, 3) ნეტავ ასე რატომ ხდება. გ. ქუჩიშვილი—1) ფარული სიყვარული, 2) ურმული, 3) ცეკვა სოფლად. შიო არაგვისპირელი—გაბზარული გული. დ. თურდოსპირელი—ყვავილები. არ. რუხაძე—ჩემს იდეალს. ლეო ქიაჩელი—იშვიათი შემთხვევა. ივ გომართელი—ვ. რუხაძის პოეზია. აკაკი პაპავა—ფიქრები თეატრის კრიზისზე.

პროვინციელ აგენტებმა და მყიდველებმა უნდა მიმართონ წიგნის მაღაზია „განათლებას". ფასი 15 მანეთი. (უფ.)

---

## მუშათა სასახლე

დღეს საქართველოს მუშათა კლასს ზეიმი აქვს. რუსთაველის პროსპექტზე მუშათა სასახლე იხსნება. მუშათა სასახლე! ეს ორი სიტყვა ერთად სმენას ვერ ეგუება. მუშა სასახლეს კი აშენებდა, მაგრამ ის მუშათა არ ყოფილა, არც შეიძლებოდა ყოფილიყო. კლასი ყველაფრის შემქმნელი, კლასი ყველა იმის შემომქმედი, რასაც ადამიანის ხელი ამჩნევია; კლასი „დავით აღმაშენებელი", რომლის ხელითა და ოფლით აშენებულია მთელი ციხე დარბაზები, მოკლებულია ბინას, საკუთარ კერას. უამრავი სიმდიდრის შემქნელი, თვითონ ყარიბი, მშიერ ტიტველი იყო და არის. ის კლასი, რომელიც აგურით, ქვითკირითა და რკინიდან ხგებდა ქვეყნის ხერხემალს ინჟინრების ხელმძღვანელობით, დღეს ჩვენში თვით გამოვიდა უდიდეს ხუროთმოძღვარის როლში და აშენებს ქვეყანას პოლიტიკურათ, აგებს სახელმწიფოს და საამშენებლო დუღაბათ საკუთარ ძვლებს, კუნთებსა და სისხლს ხმარობს, თვით მტლათ ედება ამ ახალ შენობას.

რა სუსხიან ამინდში, რა საშინელი გრიგალის დროს მოუხდა მას ამ საქმის კეთება.

თითქოს ბედი და ისტორია მას გადაემტერა და სახელმწიფოებრივ სიმწიფის ეგზამენის დაჭერა ასეთ საშინელ პირობებში დაუნიშნა. აუწერელია ის ტანჯვა, რომელსაც ეს კლასი განიცდის დღეს. დღევანდელი ისტორიული ეპოქის განუსაზღვრელი უბედურებანი მთელი თავის სიმძიმით ამ კლასს დააწვა კისერზე, ის დიდი კოლექტიური მრავალ ტანჯული იობი არის დღეს, მას ისტორია ცდის. წარსულის ველზევლები სულგანაბულნი უცდიან იმ წამს, როდესაც გმირთ-გმირი ველარ გაუძლებს ამ გაჭირვებას და ქედს მოიხრის სატანის წინაშე. მაგრამ ამაოთ დაკონკილ ფარაჯის ქვეშ კვლავინდებურათ სცემს მხიარული და მგზნებარე გული, შიმშილისაგან დამჭკნარ სახეს კვლავ აშვენებს ცეცხლით სავსე თვალები, რომელიც უკვე ხედავს მოახლოებულ აღთქმულ ქვეყანას. ტყულია მის სახეზე სასოწარკვეთილების ნიშნების ძებნა. მის „შუბლს ოფლის დალი აჩნია და

# დღეს

ტროცკის განცხადებით ბალტიის მხრის მცირე სახელმწიფოთა ორპოფუ ლი მოქმედება იძულებულს მყოფს საბჭოთა რუსეთს მზად იყოს არა მარტო თავდაცვისთვის, არამედ—გამანადგურებელი თავდასხმისთვისაც.

ფრანგული პრესის ცნობით ინგლის საფრანგეთის შეთანხმების შემდეგ საზავო კონფერენცია ოსმალეთთან საზავო პირობების შემუშავებას შეუდგება.

რუსეთის ნაციონალური ცენტრის აზრით ბალშევიზმთან ბრძოლა ნიშნავს გერმანიის გეგემონიის წინააღმდეგ ბრძოლას და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ეს ვერ შეუგნია ლოიდ ჯორჯს.

„პრავდას“ აზრით საბჭოთა რუსეთი მეტ ხანს გაუძლებს მოკავშირეთა ბლოკადას, ვიდრე ევროპა რუსეთიდან ნედლი მასალის მიუღებლობას.

ბარცელონაში გრძელდება გაფიცვები და სოციალური ხასიათის გამოსვლები.

მკერდს სისხლის ნაკადული“, მაგრამ ის არ დრკება და მიდის წინ, იცის, რომ მომავალი მისია.

და ამიტომ ის ყველაფერს ითმენს, ყოველგვარ ტანჯვას იტანს. ეს არის მისი უდრეკი კლასიური შეგნების მაჩვენებელი. „დიდის მოთხოვნა“ ისე არ ახასიათებს დიდ შეგნებას, როგორც „დიდის მოთმენა“, ასეთი მოთმენა შეუძლია მხოლოდ მომავლის გამგეს და ისეთ გამგეს, რომელსაც თავის ისტორიული მისია ნათლად აქვს შეგნებული.

დღეს საქართველოს რესპუბლიკის აღმშენებელი მუშათა კლასი, ნახევრათ მშიერ ტიტველი, სხიარულობს. მასი წევრები ჯერ-ჯერობით ეხლაც მოკლებულნი არიან საკუთარ ბინას, მაგრამ როგორც მთელმა კლასმა შეიძინა სავანე, სადაც ის თავის წმინდა დროშებს მაინც დაასვენებს და რომლის ესტრადიდან მომავლის ქადაგებას იტყვის. ეს არის მუშათა სასახლე, რომლიდანაც თითეულ მუშის გულთან გაებმება უხილავი ძაფი. ამ სოციალიზმის ტაძარში მოიყრის თავს საქართველოს მუშათა კლასის გულის საიდუმლოება, ნაზრევის ჯამი, ნების ფოლადი და მარჯვენის ძალა.

ჩვენი გაზეთი, მუშათა გაზეთი, ულოცავს თავის პატრონს დღევანდელ ზეიმს.

## საეროზო არჩევნებისათვის

ჩვენი ერობები—როგორც სამაზრო, ისე სათემო არჩეულია მხოლოდ მიმდინარე წლისათვის. მათ მომავალ წლის პირველ იანვარს უთავდებათ მოქმედების ვადა.

ერობა ჩვენი ხალხის, დემოკრატიის ადგილობრივი ორგანიზაციაა. გარდა იმისა, რომ ადგილობრივ ეკონომიურ ცხოვრების მოწყობას აწარმოებს, ის ჩვენი ცენტრალური მთავრობის მართველობის ორგანოა, მის მოქმედების ადგილობრივი გამტარებელია. უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მუშაობა, მისი კეთილდღეობა მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, უკეთუ კარგად მოწყობილი ერობა გვეყოლება.

უნდა ითქვას ისიც, რომ ერობის მუშაობას, მიუხედავად ბევრი მისი ღვაწლისა, ნაკლიც აქვს. და ეს ნაკლი სხვათა შორის გამოწვეულია იმითაც, რომ პირველი არჩევნები რამდენიმეთ ნაჩქარევად იყო მოხდენილი. ხალხს არ ქონდა საჭირო გამოცდილება ამ საქმეში და გარდა ამისა თვით ის დებულება, რომლის საფუძველზე მოხდა პირველი საერობო არჩევნები, სავსებით არ არის შეფარდებული ჩვენს ცხოვრებასთან.

ამას კარგათ ხედავდენ [თვით] დებულების შემდგენელნი და ამიტომ იყო, რომ პირველ არჩეულ ერობას ასე მოკლე ვადა დაუნიშნეს—1920 წლის 1 იანვარი.

მაგრამ დღევანდელს პირობებში შეუძლებელია ახალი არჩევნების დანიშვნა მომავალი იანვრის პირველ რიცხვებში.

ჯერ ერთი ძალიან ცოტა ხანი მოუხდათ ჩვენს ერობებს მუშაობა, მათ ჯერ ვერ მოახერხეს პრაქტიკულ საქმიანობის გამოჩენა, რადგან ჯერ მხოლოდ ცდების პროცესშია ის. ეს ითქმის განსაკუთ[რ]ებით წვრილ ერთეულების, თემების შესახებ, რომლებიც მხოლოდ ახლა ეწყობიან.

გარდა ამისა, იანვარი ისეთი დროა, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე ვერ შესძლებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. ეს ნათლად დაგვანახვა ჩვენ შარშანდელმა თებერვლის არჩევნებმა, როცა ბევრმა კუთხემ დიდი თოვლის და უგზოობის გამო ვერ მოახერხა თავის მოქალაქობრივ უფლებების განხორციელება.

მაშასადამე საჭიროა არჩევნების გადადება და დღევანდელ ერობების რწმუნების განგრძობა.

ამავე დროს საჭიროა არჩევნები დაინიშნოს ისეთის დროისათვის, როცა ეს უფრო მოსახერხებელია. ასეთი დროა შემოდგომა, როცა ტეხნიკურად საქართველოს ყველა კუთხისათვის მოსახერხებელი იქნება არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ამ დროს სხვათა შორის ხალხიც უფრო თავისუფალია. არის კიდევ ერთი მოსაზრება აღსანიშნავი

დროს სასარგებლოთ. ეს არის ის, რომ ამ დროსთვის ალბათ მუშაობას დაასრულებს დამფუძნებელი კრება და მომავალ პარლამენტის არჩევნებისათვის შესაძლებელი იქნება საერობო არჩევნებისათვის შედგენილ სიებით სარგებლობა, რაც დიდი დაზოგვა იქნება, როგორც ძალთა ეკონომიის, ისე რესპუბლიკის ფინანსების.

რამდენათაც ვიცით, დამფუძნებელ კრების ს. დემ. ფრაქციასაც დაახლოვებით ასე გადაუწყვეტია ეს საკითხი.

## სესხი თვითმართველობებს

დღეს აშკარაა ყველასათვის, რომ საქართველოს ზოგიერთი კუთხეები უკვე შიმშილობას განიცდის. დახმარება მათ დაუყონებლივ საჭიროა. ვინ უნდა გაუძღვეს ამ საქმეს? ჩვენ საერთოდ მომხრე ვართ, რომ სანოვაგის მიწოდების ორგანიზაცია სრულებით ცენტრს ექვემდებარებოდეს და მის საკუთარ აპარატათ ხდებოდეს. ეს უფრო მიზანშეწონილია და ეკონომიური. მეორე მხრივ, ცენტრს მეტი შეძლება აქვს ნათელი წარმოდგენა იქონიოს არა მარტო ადგილობრივ, არამედ უცხოეთის ბაზარზედ.

დღევანდელ გარდამავალ ხანაში კი ცენტრი უნდა დაეყრდნოს ადგილობრივ თვითმართველობებს, არა მარტო განაწილების საქმეში, არამედ სანოვაგის შეძენის საქმეშიაც. ადგილობრივი საზოგადოების ზედგავლენით და მათთან მუდმივი კავშირის წყალობით, ადგილობრივი თვითმართველობები მუყაითად მოკიდებენ საქმეს ხელს და არ დაზოგავენ თავის შრომას და უნარს. უბედურება იმაშია, რომ მათ არ აქვთ განსაზღვრული თანხა საქმის დასაწყებად. უმეტეს ადგილას მცხოვრებლები, რასაკვირველია, ფულს გადიხდიან სურსათში. ამ ნაირად, ერობა-ქალაქებს ექნებათ საშუალება მუდმივად ატრიალონ განსაზღვრული თანხა. სახელმწიფო ვალდებულია ასეთი თანხა მისცეს ერობებს. ფრაქციის, ან მთავრობის ინიციატივით ეს უნდა გატარდეს დამფუძნებელ კრებაში დაუყონებლივ. თანხა გადადებულ იქნება მთავრობის განკარგულებაში და შემდეგ ის დაუნაწილებს ერობებს. სიძუნწის გამოჩენა ასეთ დიდ კითხვაში დანაშაული იქნებოდა. დაყოვნება შეუძლებელია. **ბ. თევზაია.**

## ჩემი უკანასკნელი პასუხი.

განი ფიქრობს, რომ მე არ ვიცნობ ეს-ერების მიწის პროგრამას. ძნელი დასაჯერებელია ეს. მე, პირიქით, ვფიქრობ, რომ განი ყურადღებას არ აქცევს ეს-ერების „გათანასწორებულ“ მფლობელობის მიზანს: ეს-ერებს ეშინიათ, ვაი თუ მიწა ხელიდან გამოეცალოს მიწის მუშას და მდიდრებმა ჩაიგდონ ხელშიო. ნორმის მაქსიმუმის დაწესებას არ შეიძლება სხვა მიზანი ჰქონდეს (სულ სხვა მიზანი გვქონდა, როცა ჩამორთმევის ნორმა დავაწესეთ!).

რაც შეეხება ს. დ. ფრაქციის მიერ მიღებულ ორ შესწორებას, მის მნიშვნელობის დაფასებაში განი ცდება. პირველი შესწორება წმინდა სარედაქციო ხასიათისაა. მეორე შესწორება ცოტათი ხლართავს მარტივ საკითხს, მაგრამ რაკი დროებით რჩება შეძენის ნორმის მაქსიმუმი, ეს დიდათ ვერ შეცვლის პროექტის შინაარსს. განი ამას უფრო კარგად გაიგებდა მესამე შესწორება რომ არ დავიწყებოდა: მიწის რაოდენობას ამოწმებს თემი, რომელიც ზომავს ვერ დაუწესებს მიწებს და მაშასადამე ცხადია, რომ ერთგვარი მაქსიმუმი სისწორით ვერ გატარდება.

მიღებულ შესწორებებით მე შეიძლება არ ვიყვე კმაყოფილი, მაგრამ ერთმა რამემ ძალიან გამახარა: ეს არის განის განცხადება, რომ თითონ ის კმაყოფილია. თუმცა ჯერ სულ წინააღმდეგი იყო პროექტის, დღეს შესწორებით მას იღებს.

უმჯობესია გვიან, ვინემ არასოდეს.

**კ. ნ.**

—

**ორიოდე სიტყვა.**

ფრაქციის მიერ მიღებული დადგენილება ამ ხელათ საშუალებას გვართმევს კამათის გაგრძელებისას. თუ რამდენათ მართალია კ. ნ. შეხედულება ეს-ერების გათანასწორებულ მფლობელობის შესახებ—ამას თვით მკითხველი გამოარკვევს. რაც შეეხება იმას, ვითომ მე ვცდებოდე ფრაქციის მიერ მიღებულ შესწორებების დაფასებაში, ეს სწორი არაა. რომ ეს ასე ყოფილიყო, ეჭვი არაა, კ. ნ. მას მიემხრობოდა.

მესამე შესწორება მე არ დამვიწყებია, როგორც ამას კ. ნ. სწერს. მართალია, მიწის რაოდენობას ამოწმებს თემი, მარა მას არ შეუძლია ვინმეს მისცეს იმაზე მეტი, ვინემ ამას განსაზღვრავს შენიშვნის მეორე მუხლი. კ. ნ.-ს აწუხებს ის, რომ თემი „ვერ დაუწესებს მიწებს ზომვას. ცხადია ერთგვარი მაქსიმუმი სისწორით ვერ იქნება დაცულიო“. ასეთი აზრი ჩვენ პირდაპირ შეუწყნარებლათ მიგვაჩნია. თემი თუ კანონს დაარღვევს, ის უნდა დაისაჯოს. მაქსიმუმი უნდა გატარდეს სისწორით. მისი დარღვევა სანუგეშო კი არ იქნება, არამედ სამწუხარო და მის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა უნდა იქნას, რადგან ასეთია კანონი.

მე ვიყავი კანონ-პროექტის წინააღმდეგი. მარა თუ ფრაქციის შენიშვნებით დავკმაყოფილდი—ეს იმიტომ, რომ აგრარული კომისიის პროექტს ეს მაინც სჯობია. დიდ ზიანს პატარა ვარჩიე. ამიტომ ვსწერდით: შექმნილ პირობებში—ეს შესწორებანი დამაკმაყოფილებელიათქვა. **განი**

# პრესა

ადერბეიჯანის ახალი მთავრობის დეკლარაციის გამო „აშხატავორი“ (№ 277) სწერს:

„ახალი დეკლარაციის მიზანი არაფრით არ განსხვავდება წინანდელ მიმართულებიდან, რომელსაც ადგა ადერბეიჯანის მთავრობა დამოუკიდებლობის პირველ დღიდანვე. ტერიტორიების დაპყრობა, პოლიტიკური თავისუფლების დაპირებანი, სოციალური რეფორმების პერსპექტივები, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა ცარიელი სიტყვებით და სხ.

„აძერბეიჯანის შინაგანი თუ გარეშე პოლიტიკა ერთავათ აგრესსიული იყო მეზობელ რესპუბლიკათა მიმართ საერთოთ და, კერძოთ, სომხეთის და თავის საზღვრებში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ.

„ამავე ალვირ ახსნილი თვითნებობის დაპირებათა ერთი ბრწყინვალე ნიმუშია უსუბბეკოვის ახალი კაბინეტის „ნაცოდვილარი“ დეკლარაცია“.

სწორედ „აშხატავორზე“ შეიძლება ითქვას, რომ ის საკუთარ თვალში, დვირეს ვერ ხედავს. ვთქვათ—აგრესიული იყო აძერბეიჯანის პოლიტიკა, წარმოვიდგინოთ, რომ სოციალური რეფორმების სფეროში მხოლოდ ცარიელი სიტყვებით ჰკვებავდენ ხალხს, მაგრამ ერთიც ვიკითხოთ—როგორი იყო თვით სომხეთის დაშნაკცაკანური მთავრობის პოლიტიკა? რა გააკეთა ამ მთავრობამ სოციალურ, გინდ სხვა სფეროებში? როცა საკითხი ასე დადგება, „აშხატავორი“ ყოველთვის წყალს დაიგუბებს ხოლმე პირში...

# გაკვრით

გაზეთი „სლოვო“ დიდ ყურადღებას გვაქცევს. ის ხშირათ სთარგმნის ჩვენი გაზეთიდან წერილებს და თავის მკითხველებს აცნობს. მართალია წერილების არჩევაში ერთგვარი ტენდენცია გამოსჭვივის, მარა ეს კიდევ ჰო! ზოგს რა მოსწონს და ზოგს ვინ... თუ ამ მხრით ვერ ვიქნებით სასტიკი, იმის უფლება მაინც გვაქვს, რომ გაზეთს წერილების სწორით გადათარგმნა მოვთხოვოთ.

„სლოვოს“ თარგმნის სანიმუშოთ საკმარისია რამდენიმე მისი ნათარგმნი ხსვადასხვა წერილებიდან რამდენიმე ადგილის მოყვანა. „ერთობა“ სწერდა: ბალშევიკების ხსენება წამლათაც არ დარჩებაო. „სლოვომ“ გადათარგმნა: большевиковъ не будетъ на лѣкарство. „ერთობა“: სიბერემდე სიქაჩლეს მოელოდეო. „სლოვო“—жди себѣ до старости плѣшивости. „ერთობა“—ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. „სლოვო“—на наше счастіе собака не залаетъ და სხვა.

ჩვენ შეგვეძლო მრავალი ასეთი მაგალითები მოგვეყვანა, მარა ვფიქრობ, ესეც საკმარისია იმის დასამტკიცებლათ თუ როგორი სისწორით სთარგმნიან „სლოვოში“ ჩვენი გაზეთის წერილებს.

თუ „სლოვო“ საჭიროთ სცნობს ჩვენი წერილების გაცნობას თავის მკითხველებისათვის—მისი სისწორით გადათარგმნაც უნდა იკისროს. ამას მოითხოვს როგორც მისი მკითხველების ინტერესი, ისე პრესის კეთილ სინდისიერება... **განი.**

## მუშათა სასახლის გახსნა

დღეს, 12 საათზე უნდა გაიხსნას თფილისის მუშათა სასახლე.

მონობის უღლიდან განთავისუფლებული საქართველოს მუშათა კლასი, დაქსაქსულ-დანაწილებული დემოკრატია, ხვრელებში ჩუმად მომუშავე—რევოლიუციის შემდეგ ელვის სისწრაფით გაიმართა წელში და შეუდგა თავის ძალების დარაზმვა-შეკავშირებას და აი, დღეს, საქართველოს დედა-ქალაქში—თფილისში უკვე 35 პროფესიონალურ კავშირზე მეტია, რომლის ირგვლივ 40,000 მუშა იკრებს თავს. თფილისში არ არის არც ერთი ისეთი დარგი, რომელსაც კავშირი არა ჰქონდეს.

თფილისის პროფესიონალურ კავშირების ასე სასწრაფოდ ზრდა აიხსნება იმითი, რომ მან თავიდანვე სწორი ხაზი აილო სამოქმედოდ: საქართველოს მუშათა კლასმა ამ გარდაუვალ, ძნელად განსაჭვრეტ ქარტეხილშიაც კი არ დაჰკარგა სწორი გზა და რევოლიუციის მშობიარობის მწარე ტკივილები წარბშეუხრელად და განსაკუთრებულის მოთმინებით გადიტანა და მით თავიდან აიცდინა ანარქია და მონარქია.

პროფესიონალურ კავშირებში დარაზმულ ძალას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ის თავის სიძლიერეს და ენერგიას თვით მუშათა კლასისათვის გამოიყენებს.

მაშინ, როდესაც სხვადასხვა სახელმწიფოებში პროფესიონალური კავშირები სულ სხვა გზას ადგიან და მთავრობისა და პროფესიონალურ კავშირების მოქმედება სრულიად ეწინააღმდეგება ერთი-მეორეს და ერთმანეთს ებრძვიან, ჩვენში სრული თანხმობაა მთავრობისა და პროფესიონალურ კავშირების მოქმედებაში.

საქართველოს მუშათა კლასმა—პროფესიონალურ კავშირებში დარაზმულმა, დამფუძნებელ კრების არჩევნებში თავის ნდობით აღჭურვა ის მთავრობა, რომელშიაც შედიან და რომელიც შესდგება მუშათა კლასის საუკეთესო დამცველთაგან. მან თავის ხელით აფრიალა წითელი დროშა დამფუძნებელ კრების სასახლეზე.

და აი, დღეს იგივე მუშათა კლასი ხსნის ახალ, მეორე სასახლეს—მუშათა სასახლეს. და იგი დაბინავდა სწორედ იქ, იმის პირდაპირ, სადაც მას თავის თვალის ჩინი—დამფუძნებელი კრება ეგულებოდა. ბარიათინისა და რუსთაველის პროსპექტზე მდებარე, თეთრად მოელვარე, ექს-სართული ნი მუშათა სასახლე და იმავე ქუჩაზე წითლად მოელვარე დამფუძნებელ კრების სასახლე ერთი მეორეს შუბლს უკოცნიან, ერთმანეთს შეჰხარიან,—თითქოს ერთმანეთს ეფიცებიან: ჩვენ ერთმანეთს არ უღალატებთ და უკეთეს მომავლისათვის ერთად ვიბრძოლოთო.

დიახ, საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატია და მისი მთავრობა განუყოფელი არსებაა; ერთი მათგანის გამოცლა—მეორის სიკვდილს უდრის. ურთმანეთოთ არსებობა მათ არ შეუძლიათ.

და ამიტომ ორივეს მოქმედება უნდა მიმართული იყოს უმთავრესათ ამ ორი სასახლის დაცვისაკენ, მის გამაგრება-გაღონიერებისაკენ.

თფილისის პროფესიონალური კავშირები მუდამ თავის მკერდით იცავდენ და დაიცავენ მის მიერ შექმნილ დემოკრატიულ რესპუბლიკას.

და იგი არას დროს გადაუხვევს ამ გზას.

გულწრფელი სალამი მუშათა სასახლის გულწრფელ მუშაკთ.

**მიხ. თამაზაშვილი.**

## დამფუძნებელი კრება

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ივ. გომართლის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის ნიხრის გადიდების დეკრეტისა.

ლ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი განათლების სამინისტროს შტატის შეცვლისა და ჯამაგირის გადიდებისა.

**დეკრეტი ერობათა ხმოსნების რწმუნებულობის ვადის გაგრძელებისა.**

მომხსენებელი გ. ცისკარიშვილი აღნიშნავს იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელშიაც უხდებოდათ ერობებს მუშაობა და ამბობს: ზოგიერთ ალაგას ერობები მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში მოეწყვენ, უკეთესს შემთხვევებში ერობას 7—8 თვის მეტი არ უმუშავია. ყველაზე ძველი სენაკის ერობაა, რომელსაც სექტემბერში შეუსრულდა ერთი წლისთავი. ხმოსანთა რწმუნების ვადა კი გადის 1 იანვარს 1920 წლისა. ახალი არჩევნების მოხდენა კი ხელს შეუშლის იმ აღმშენებლობითი მუშაობას, რომელსაც ერობები ამ ჟამათ აწარმოებენ. გარდა ამისა, ეს არჩევნები დიდ ხარჯებს მოითხოვენ, ხოლო ერობის ახალ არჩევნებს არც სახელმწიფოებრივი და არც დემოკრატიის ინტერესები არ მოითხოვს. ამიტომ თვითმართველობის კომისია დაეთანხმა მთავრობის წინადადებას არჩევნების გადადების შესახებ და თქვენს წინაშე ვშუამდგომლობ, რომ ეს დეკრეტი დასტურებულ იქნას.

ალ. ახათიანი (ნ.-დ.) ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია წინააღმდეგია არჩევნების გადადებისა; ის მოითხოვს, რომ არჩევნები მოხდეს იანვარში. ჩვენის აზრით არჩევნები არ შეუშლის ხელს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობითი მუშაობას, როგორც ეს შინაგან საქმეთა მინისტრს ამხანაგს ჰგონია. ბევრი ერობა მუშაობას ახლა იწყებსო, სწერს მინისტრის ამხანაგი თავის განმარტებაში, თუ არჩეული იყო და დღემდე არაფერი გაუკეთებია, რასაკვირველია, ასეთი ერობის მაგივრათ ახალი უნდა იქნას არჩეული. დემოკრატიზმი მოითხოვს, რომ არჩევნები არ იქნას გადადებული. (სოც.-დემ. სკამებიდან; როდის გახდი დემოკრატი?) დემოკრატები ჩვენ ყოველთვის ვიყავით, (კიდია ადგილიდან; სოციალისტები კი არასოდეს).

ი. გობეჩია (ს.-რ.) აღნიშნავს, რომ სოც.-დემოკრატიას პარტიული ინტერესების გამო სურს არჩევნები გადადოს. ეს კი უარყოფაა დემოკრატიული და სოციალისტური პრინციპების. სხვა ქვეყნებში ყოველ ორ წელში ხდება არჩევნები (კ. ნინიძე და ლ. ნათაძე რამდენიმეჯერ ეკითხებიან ორატორს: სად, რომელ ქვეყანაში ხდებაო, მაგრამ ის არ უპასუხებს), როცა დემოკრატიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა არჩევნების გადადება და ეს დადგენილება წარუდგინა ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს, ხოლო უკანასკნელმა კი შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე აღძრა შუამდგომლობა არჩევნების გადადების შესახებ, ეს მაშინ, როცა ხალხი არ ენდობა სოც.-დემოკრატიას და მოითხოვს არჩევნების მოხდენას: ერობების შემადგენლობა ხალხს არ აკმაყოფილებს და სოც.-დემოკრატიას კი სურს არჩევნები გადადოს.

ნ. რამიშვილი (შინ. საქ. მინისტრი). აქ ერთმა ორატორმა განაცხადა, რომ, ვინაიდან ხალხი მოითხოვს არჩევნების მოხდენას, მისი გადადება არ არის საჭიროვო. ეს დებულება არ შეეფერება სიმართლეს. პირიქით, ჩვენ არჩევნები სწორედ იმიტომ გადავდევით, რომ ხალხი მოითხოვდა ამას: (ს. დადიანი ადგილიდან: ვისი მოთხოვნით?) თქვენი პარტიის წარმომადგენელი, ბ-ნო დადიანო, ისე იცავდა ამ გადადებას, როგორც სხვა წევრები ერობის მთავარი კომიტეტისა. თუ რომელიმე თქვენგანი მოიტანს 1000 კაცის მიერ ხელმოწერილ პეტიციას თითოეული მაზრიდან არჩევნების მოხდენის შესახებ, მე, მთავრობის წარმომადგენელი, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ დეკრეტით წარვადგენ დამფუძნებელი კრების წინაშე ამ მაზრებში არჩევნების მოხდენის შესახებ. მაგრამ ისეთი მდგომარეობაა არჩევნების სიშორის გამო შექმნილი, რომ თქვენ ამის მოტანა არ შეგიძლიათ. ხალხი პირდაპირ ამბობს: დაგვანებეთ თავი, ამდენი არჩევნები მომბეზრდაო. შემდეგ მინისტრი მაგალითებით ამტკიცებს, რომ წინადადება არჩევნების გადადების შესახებ არ არის გამოწვეული რაიმე პარტიული მოსაზრებით, არამედ ის გამოწვეულია წმინდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოსაზრებებით და ინტერესით.

თქვენ იცით, მოქალაქენო, რომ ზოგმა ერობამ ძალიან გვიან დაიწყო მუშაობა. სულ რაღაც 6—7 თვეა და ამ ხნის განმავლობაში ერობა იძულებული იყო ეწარმოებინა წმინდა საორგანიზაციო მუშაობა და არსებითად შემოქმედებითი მუშაობას ის ახლახან შეუდგა, ასეთ დროს კი არჩევნები ფრიად შეაფერხებდა ამ საზოგადოებრივ საერობო მუშაობას. აი ამიტომ, როგორც მოგახსენეთ, არც სახელმწიფოებრივი და არც საზოგადოებრივი ინტერესები არ მოითხოვენ არჩევნების ახლა მოხდენას. ამის სურვილი არა აქვს არც ერთ ერობაში მომუშავე ჯგუფს.

ზ. გობეჩია გადაწვდა თავის სიტყვაში მეორე სამინისტროს, მომარაგების სამინისტროს და სთქვა, რომ იქიდან ერთი დეპუტატი გულნაკლული დაბრუნდა, რადგანაც სათანადო ყურადღებით არ მოექცენო. მე არ ვიცი რამდენათ მართალია ეს და მგონია, რომ ეს არ იქნებოდა, მაგრამ მე ვიცი ერთი რამ: ერთი ებრაელი ვაჭარს უნდოდა მომარაგების სამინისტროდან 67 ფუთი ჯაგრის გასაზიდი ნებართვის მიღება და ერთი დეპუტატი ცდილობდა მისთვის ეს ნებართვა გამოეტანა (ისმის ხმები: ვინ იყო?) მე აქ არ დავასახელებ და თუ მას მოქალაქეობრივი გამბედაობა აქვს, თვითონ გამოვა აქ ტრიბუნაზე და განაცხადებს. (კიდევ ეკითხებიან: ვინ იყოვო?) ყოველ შემთხვევაში სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქცია იცნობს იმ დეპუტატს.

რაც შეეხება იმას, რომ ვითომდა ხალხს ნდობა დაეკარგა ჩვენი, ზ. გობეჩია სჯობს, რომ იმაზე არ ილაპარაკებდეს და საერთოდ არ ითხოვდეს არჩევნების დაჩქარებას. მან, ალბათ, იცის, რომ ერთ-ერთ ქალაქში ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა არჩევნები და იქ არც ერთი სოც.-რევოლიუციონერი არ აურჩევიათ. და თუ ვინმე ფიქრობს, რომ ხალხი მართლა მოითხოვს არჩევნების მოხდენას, წარმოადგინოს პეტიცია და იმ მაზრაში არჩევნები იქნება მოხდენილი. ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ ახლა არჩევნები ხალხისთვის საჭირო არ არის და მხარს უჭერთ დამფუძნებელი კრების წინაშე წარმოდგენილ დეკრეტს მიღებას. იქნას. (ტაში)

დ. ონიაშვილი. (ს.-დ.) ეს დეკრეტი თავისი შედეგებით, რომელიც მას მოჰყვება, ფრიად შინაარსიანი. საკითხი ისმება ასე: მოუტანს თუ არა რაიმე სარგებლობას დემოკრატიას ახალი არჩევნები? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა თვით სინამდვილე. დღევანდელი სინამდვილე კი შემდეგს გვეუბნება: ახალციხის, ახალქალაქის, თიანეთის (სოც.-დემ. სკამებიდან: ბორჩალოს) მაზრებში მხოლოდ ახლა მოხდა არჩევნები. ვერავინ ვერ დაამტკიცებს, რომ ამ მაზრებში საჭირო იყოს სახელმწიფოებრივი მოსაზრებით ახალი არჩევნების მოხდენა. თემები, რომელზედაც დიდ იმედებს ვამყარებთ, მხოლოდ ორგანიზაციის პროცესში იმყოფება. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის დასრულება. ისინი, ვინც გვეკამათებიან, არ გამოდიან საქმის ინტერესიდან. მათ ალაპარაკებს მხოლოდ პარტიული ინტერესები. ახათიანმა აქ სთქვა: არჩევნები უნდა მოხდეს, რათა ერობაში სასურველი პირები შევიდნენო. ახათიანისათვის ეს „სასურველი“ პირებია ნაც. დემოკრატები, სოც.-რევოლიუციონერებისათვის—ეს-ერები და სხვ. ასე საკითხის დაყენება ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებით, (ვეშაპელი: თქვენ რით ხელმძღვანელობთ?) ჩვენ სწორედ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებით ვხელმძღვანელობთ, ამის დამამტკიცებელი საბუთი მრავალია. აილეთ თუნდაც თფილისის ერობა, სადაც ჩვენ სოც. ფედერალისტ წევრთან ერთად ვმუშაობთ გაუგეობაში. რაც შეეხება იმას, რომ ერობის მოქმედებით ხალხი უკმაყოფილოა, ხალხი კი არა, თვით გამგეობის წევრები არ არიან კმაყოფილი, მაგრამ ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმ მძიმე პირობებით, რომელშიაც ერობას მოუხდა მუშაობა. მან ძველი რეჟიმისაგან მიიღო დანგრეული სკოლა, განადგურებული საავათმყოფო, მოუწყობელი ადმინისტრაცია და სხვ. ყველა ამ საკითხის მოგვარება დღევანდელ პირობებში ადვილი საქმე როდია ამ მხრით დიდი მუშაობა სწარმოებს და ჩვენ არ გვინდა, რომ არჩევნებმა ხელი შეუშალოს ამ მუშაობას. ამიტომ ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს არჩევნების გადადებას.

შემდეგ ლაპარაკობენ ლ. შენგელაია და გ. ვეშაპელი, უკანასკნელს წინადადება შეაქვს, რომ შენიშვნათ მიღებულ იქნას, თანახმად მინისტრის სიტყვისა შემდეგი: თუ რომელიმე მაზრის მცხოვრებთაგან 1000 კაცზე მეტი მოითხოვს პეტიციის სახით არჩევნების მოხდენას, იმ მაზრაში არჩევნები მოხდეს. მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ ვეშაპელის წინადადების გამო გ. თევზაია (სოც.-დემ.) შემდეგ განცხადებას აკეთებს: ჩვენ პრინციპიალურათ არა ვართ წინააღმდეგი პეტიციის შესახებ წინადადებისა, მაგრამ ასე დაუმუშავებლათ და ნაჩქარევათ ასეთი წინადადების მიღება შეუძლებელია. აქ დაცულ უნდა იქნას ერთგვარი წესი, ნორმა. 1000 კაცი იქნება ასეთი ნორმა თუ მეტი, ამას დამუშავება სჭირია. ამ შემთხვევაში, მე მგონია, რომ უნდა მიღებულ იქნას ერთნაირი პროცენტი მაზრაში საერთოდ ხმის მიმცემთა რაოდენობისა. გარდა ამისა, გარკვეულ უნდა იქნას თუ ვინ დაამოწმებს, ან რა წესით დაამოწმებს ხელის მოწერას, ვის მიენდობა ამ ხელის მოწერის წარმოება, განსაზღვრულ უნდა იქნას აგრეთვე დრო პეტიციის შემოტანისა. თუ დრო არ იქნა განსაზღვრული, მაშინ არჩევნების დასრულების შემდეგ ყოველთვის აღმოჩნდება ათასი კაცი არჩევნებით უკმაყოფილო ამა თუ იმ პარტიის მიმდევარი და ის წარუდგენს საკანონმდებლო ორგანოს პეტიციას. ვეშაპელის წინადადების მიხედვით ხელახლა უნდა მოხდეს არჩევნები. ამრიგათ, ჩვენ მოწმე ვიქნებით დაუსრულებელი არჩევნებისა, რაც დიდ არევ დარევას გამოიწვევს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ, ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია ასეთი დაუმუშავებელი და გაურკვეველი წინადადების მიღებისა.

წინადადებას იცავენ ა. ახათიანი და გრ. ვეშაპელი. კენჭის ყრით ეს წინადადება უარყოფილ იქნა.

მუხლობრივი გარჩევის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა. წინააღმდეგ მისცეს ხმა ნაც. დემოკრატებმა და სოც. რევოლიუციონერებმა.

ივ. გობეჩია აცხადებს, რომ მინისტრის სიტყვები, ჯაგრის ნებართვის შესახებ შეეხებოდა მას, მაგრამ საქმე ისე არ იყო, როგორც ეს მინისტრმა განაცხადა. მე, მართალია, დავუჭირდი მო-

მარაგების სამინისტროში, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ ვინმესათვის ნებართვა გამომეტანა, არამედ ჩვენი პარტიული ორგანოსათვის ქაღალდი მეშოვა. მე სამინისტროში შევხვდა ერთი ებრაელი, რომელმაც მომმართა, როგორც დეპუტატს და მსთხოვა დახმარება. როგორც გამოირკვა, იმ ებრაელს მომარაგების სამინისტრო პირობით შეკვრია: მას უნდა მოეტანა შაქარი და უნდა მიეღო ჯაგრის გაზიდვის ნებართვა. მე ამის შესახებ სხვათა შორის ვუთხარი მომარაგების მინისტრს. ეს იყო და ეს.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო

27 დეკემბერი.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი.** დეკ. 26. „პრავდას" აზრით ევროპას მეტის-მეტათ ესაჭიროება ნედლი მასალა რუსეთისა. ძალით მისი რუსეთიდან გატანა ვერ მოხერხდება და ამიტომაც ანტანტა იძულებულია სხვა ღონისძიება იხმაროს. ანტანტა აცხადებს: ბოლშევიკების მიმართ პოლიტიკის შეცვლა დამოკიდებულია მათ მიერ სხვა პარტიებთან შეთანხმებულ მოქმედების დამყარებაზეო. არსებითად შეთანხმებას გაურბიან თვით დანარჩენი პარტიები და არა ჩვენ. დასასრულ, უკეთუ მოკავშირენი უარს ამბობენ რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევაზე, რა საქმე აქვთ მათ ჩვენს პარტიათა შორის შეთანხმოებასთან. ანტანტამ არ უნდა დაივიწყოს, რომ რუსეთის პროლეტარიატი უფრო მეტ ხანს გაუძლებს მის ბლოკადას, ვიდრე ევროპა რუსეთიდან ნედლი საქონლის მიუღებლობას.

**მოსკოვი.** დეკ. 26. სამხედრო ცნობა. დასავლეთ დვინაზე მზვერავთა მოქმედება გაცხოველდა. ჟიტომირის მიმართულებით ბრძოლა სწარმოებს. დაბა რომანოვის და ჩუდნოვის ირგვლივ კიევის რაიონში ჩვენი წინსვლა ფასტოვის სამხრეთით ვ თარდება. ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ხაზი 20 ვერსის სიშორით ვერხნოდნეპროვსკის და ნოვომოსკოვსკის ჩრდილოეთით. კონსტანტინევრად სლავინსკის რკინის გზაზე ჩვენმა ჯარმა აიღო სადგური ლოზოვაია. ლუგანის მიმართულებით ჩვენი ჯარი 30 ვერსით მოუახლოვდა ლუგანსკს. უსტ ხოპიორის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ხელახლა აიღო უსტ-ხოპიორი და მთელი რიგი სოფლებისა. დონის მარჯვენა ნაპირზე ჩვენმა ჯარმა აიღო უსტ-მედვედიცკი. [illegible]ვლინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო სტანიცები: ნოვოგრიგორიევსკაია და სიროტინსკაია. ცარიცინის მიმართულებით, ვაჰალინსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ადგილოპრივი ხასიათის ბრძოლა სწარმოებს. ნოვონიკოლაევსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი მოუახლოვდა კოლჩუგინის რკინის გზის შტოს ტომსკის რაიონში წინსვლა გრძელდება.

**პეტროგრადი.** დეკ. 25. პეტროგრადის თავდაცვის კომიტეტის საგანგებო სხდომაზე ტროცკიმ განაცხადა: „დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთის ფრონტებზე, ვერ შეგვაცვლევინებს ჩვენს პრინციპიალურ პოლიტიკის ხაზს დასავლეთის იმ მცირე სახელმწიფოთა მიმართ, რომელნიც გამოეყვნენ ყოფილი სამეფო იმპერიიდან. ჩვენი მიზანი არაა ძალით მათი დაპყრობა, არამედ ჩვენ გვსურს საკუთარის მაგალითით დავაყენოთ ისინი სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე. ამიტომ ჩვენი სადღეისო მიზანია დავამყაროთ მათთან სრული მშვიდობიანი ურთიერთობა ჩვენის მხრით მათი სრული დამოუკიდებლობის ცნობის ნიადაგზე, მაგრამ იმ პირობით კი, რომ აღნიშნული სახელმწიფონი ხელს აიღებენ ჩვენს წინაღმდეგ მოწყობილ ყაჩაღურ თავდასხმებში მონაწილეობაზე და არ უღალატებენ რევოლიუციას. დღეს-დღეობით დასავლეთის პატარა სახელმწიფოთა ორჭოფული მოქმედება გვ იძულებს ჩვენ მზათ ვიყოთ ყოველი შემთხვევისათვის, მზათ უნდა ვიყოთ არა თავდაცვისათვის, არამედ განმანადგურებელ თავდასხმისათვის, უკეთუ ვინმე განიზრახავს საბჭოთა რუსეთის ტერიტორიის ხელის შეხებას. ფინლიანდიის შესახებ დადასტურებულ იქნა ძველი გადაწყვეტილება, მზათ შევხვდეთ ფინლიანდიის თეთრგვარდიელთა თავდასხმას არა მარტო თავდაცვით, არამედ სასტიკი თავდასხმითვე.

**ფრანგული პრესის ცნობები**

„პტი პარიზიენი" სწერს: ბერტელოს ლონდონში მეორედ წასვლის დაბრუნების შემდეგ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ საფრანგეთის დელეგატის ლორდ კარზონთან მოლაპარაკებას, თუ ინგლის-საფრანგეთის სრული შეთანხმება არა, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა ოსმალეთის საკითხზე შეხედულებების საკმაო დაახლოვება მაინც მოყვა და რომ ამ ახლო ხანში საზავო კონფერენცია ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების პირობათა გამომუშავებას შეუდგება.

ბარცელონიდან იტყობინებიან: სოციალური ხასიათის გამოსვლები გრძელდება. გუშინ ორი გამოსვლა იყო: სადგურზე და ბარცელონის ახლომყოფ პადლონაში. ორი მოკლულია. წისქვილებზე გაფიცვის გამო მუშაობა შეწყდა მიუხედავათ ამისა ნავთსადგურებში ხორბლის გადმოზიდვას განაგრძობენ, ხმებია ამ ცოტა ხანში მთელ კატალონიაში საალყო წესებს გამოაცხადებენო.

მოკავშირეთა და გერმანიის დელეგატების კონფერენცია მომავალ კვირის ბოლოს შეუდგება საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის წინასწარ მოსამზადებელ ადმინისტრატიულ ზომების გამომუშავებას. მოკავშირეთა დელეგაციას თავმჯდომარეობს გენ. ლეროონი, გერმანულ დელეგაციას კი ფონ სიმსონი. ინგლისისა და იტალიის დელეგატებს ელიან მომავალ ორშაბათისათვის.

**მოხალისეთა ცნობები.**

ნიკოლაევის რადიო სადგური. როსტოვი დეკ. 25. ლოიდ ჯორჯის უკანასკნელ სიტყვის სამო სრულიად რუსეთის ნაციონალურმა ცენტრმა მოხსენებით მიმართა დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიის უფროსს გენ. ხოლმანს. მოხსენებაში სხვათა შორის სწერია: ვიდრე რუსეთი არ განთავისუფლებულა ბოლშევიკებისაგან, ვიდრე ის წარმოად გენს ეკონომიურად და სამხედრო მხრივ სუსტ ქვეყანას, რომელზედაც გერმანიას შეუძლია გავლენა მოახდინოს, მოკავშირეთა მიერ მიღწეული გამარჯვება არ შეიძლება საბოლოო გამარჯვებათ ჩაითვალოს.

საფრანგეთის მინდვრებზე დამარცხებული გერმანია კომპენსაციას რუსეთში ეძებს. ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, იმავე დროს გერმანიის მსოფლიო ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაც არის. 1914 წლის აგვისტოდან დაწყებული რუსეთი წმინდათ ინახავდა მეგობრულ განწყობილებას მოკავშირეებთან, ხოლო გერმანიას სთვლიდა და კვლავაც სთვლის თავის მტრად.

დღეს კი ამ მძიმე სამოქალაქო ომის ბანაში შეირყა ნიადაგი თანაგრძნობისა ხალხის ფართე მასსაში, გაურკვეველსა და შეუგნებელ მასსაში იბადება მწვავე საკითხი: ჰყავს თუ არა რუსეთს საიმედო მეგობარი, ხოლო უმთავრესად, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ინგლისი დიდი და განუყოფელი რუსეთის ჭეშმარიტ მეგობრათ... (შემდეგი ნაწილის მიღებას ხელს უშლიდა ნავთლუღის და მოსკოვის სადგურები).

## ახალი ამბები

**დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ** 24 დეკემბერს მოიწვია თავის სხდომაზე ხელოვნების სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. საგანი განხილვისა იყო აკაკი ფალავას მოხსენება—ქართულ დრამატიულ თეატრის გასახელმწიფოებრიობა. მომხსენებლის აზრით ქართულ დრამატიულ თეატრს რომ მიეცეს ფართო გზა თავისუფალ შემოქმედებისათვის და ინტელიგენტური ძალების მისაზიდად, საჭიროა მსახიობთა მატერიალურად უზრუნველყოფა, მათთვის ბინის, თეატრის და საჭირო ნივთების მიცემა, ე. ი. თეატრის სავსებით გასახელმწიფოებრიობა. მომხსენებლის აზრის მომხრედ გამოვიდნენ ვრცელი სიტყვებით ს. ფირცხალავა, გრ. ურატაძე და სხ., ხოლო მის საწინააღმდეგოთ გ. ლასხიშვილი, პ. საყვარელიძე, რ. არსენიძე, ქალ. თავიბ. ჩხიკვიშვილი, ს. ახვლედიანი, ლ. ნათაძე და სხ. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა მეორეთა აზრი და დაადგინეს: ქართული დრამატიული თეატრის საქმეს გაუძლიერეს მტკიცე ნდობა მოსილი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც მთავრობა აღმოუჩენს ყოველგვარ დახმარებას ფულით და ნივთებით.

◆ **დამფუძნებელი კრების ხსნის შეწყვეტა.** დეკემბრის 31-დან იანვრის 18-დე შეწყდება დამფუძნებელ კრების მუშაობა. ამის გამო დეკემბრის 29-ს დანიშნულია დამფუძნებელი კრების არაჩვეულებრივი სხდომა.

◆ **ტფილისში ჩამოვიდა სვანეთის კომისარი** ეგნატე გაბლიანი, რომელიც წარუდგება მთავრობის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს და შინაგან საქმეთა მინისტრს ვრცელი მოხსენებით სვანეთის დღევანდელ მდგომარეობაზე.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს, დილის 11 ს., ს. დემ. სტუდენტთა „ეკონომიურ-ფილოსოფიურ" წრეში ნ. იმნაიშვილი წაიკითხავს მორიგ ლექციას.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, დილით საბავშვო ოპერა „კატა წალებით და 7 თხა", სალამოთი შულგინისა, ზალიპსკის და ინაშვილის მონაწილეობით „აბესალომ და ეთერი" ორშაბათს, 29 დეკემბერს მე-6 გასტროლი ნინო კოშიცისა „პიკის ქალი".

◆ **„ეშმაკის მათრახი"**, გამოვიდა „ეშმაკის მათრახის" მორიგი ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია მრავალი კარიკატურები და სხვა მასალები.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი** დღეს, სღ. 6 ს., სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 3 განყ. (ჩუღურეთი) 1) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები", 2) ანთაძე „საქართველოს ისტორია" 5 განყ. (წმ. ნინოს რაიონი) 1) შალამბერიძე „ქიმია", 2) ასათიანი „საფრანგეთის რევოლიუციიდან". ხვალ, ორშაბათს, დანიშნულია შემდეგი ლექციები: 2 განყ. (ვერა) 1) მ. შალამბერიძე „ქიმია", 2) ვ. ბარნოვი „ქართული მწერლობა" 4 განყოფ. (ორთაჭალა) 1) ი. ანთაძე „საქართველოს ისტორია" 2) ვ. კოტეტიშვილი „სოციოლოგია" 7) განყ. (საბურთალო) 1) ალ. გორგაძე „საქართველოს ისტორიული და თანამედროვე საზღვრები" 2) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები" 8 განყ. (ავლაბარი) 1) ს. მესხი „სამშობლოს აღწერა" 2) სერ. ჟორჟოლიანი „პოლიტიკური ეკონომია".

**ქ რ ო ნ ი კ ა**

პროფესიონალურ კავშირის გამგეობა ღვინის სარდაფებში, არყის, კონიაკის და ლუდის ქარხნებში მომუშავე მუშებისა სთხოვს როგორც წევრებს ისე არაწევრებს ავლაბრის, ნავთლუღის და ორთაჭალის რაიონების მომუშავე მუშებს კვირას, 28 დეკემბერს, დილის 10 საათზე მოიყარონ თავი კახეთის ქუჩაზე მე-3 კოლექტივთან არსებულ სახალხო უნივერსიტეტის შენობაში, სადაც განხილული იქნება ამ მუშებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. დასწრება აუცილებლად საჭირო არის.

— 29 დეკემბერს, დანიშნულია ექიმთა პროფესიონალური კავშირის თფილისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. სალამოს 7 ნახ. საათ. ერობის ბინაზე. (რუსთაველის პრ. № 6).

— 28 დეკემბერს სალამოს 4 ს. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ბინაზე (არამიანცის სახლი, რუსთ. პრ.) პირველ სართულში შესდგება მეთორნეთა კრება.

## ვენე ნიკურაძე

(ვ ალათაშვილი, ვენ სონ)

ერთი წელიწადია მას შემდეგ, რაც ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა ამხ. ვენე.

ვენე, ღარიბი გლეხის შვილი, სიპატარიდანვე ეწაფება სწავლა-განათლების საქმეს და სულ ადრე ებმის მარქსისტულ მუშაობაში.

თფილისის სამიწად-მზომლო სასწავლებელში ის აარსებს მარქსისტულ „იაჩეიკებს" და მიუხედავათ ძველი რეჟიმის სუსხისა, ენერგიულად განაგრძობს მუშაობას.

სასწავლებლის გათავებისას ვერ ასცდა ის ჯარისკაცობას, რასაც მისი დაუდეგარი თავისუფლებისკენ მსწრაფავი სული ვერ ეგუება და როდესაც ის ლაგერებში გადაიყვანეს, მწერდა: „მთელი ჩემი არსება მოსწყურა მკვდარმა სახლმა (ყაზარმამ) და დაისლა ისე, როგორც დაღესტნის მთების მწვერვალები, მაგრამ იმედს არა ვკარგავ და თავისუფლების სხივებს მოველიო".

ამ დროს ის დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა ყოველგვარ უსამართლობას, რაც სავსებით იხატებოდა მის მკვეთრ კორესპონდენციებში.

დაიმსხვრა მონობის ბორკილები და ვენეც მთელ არსებას აძლევს საყვარელ თავისუფლებას.

ის მუშაობს ცენტრებში, ფრონტზე და ყველგან მისი ორატორული ნიჭი და მაგარი ლოღიკა ყველას აჯადოებს და თავისუფლების ცეცხლს უღვივებს.

ვენე საუცხოვოთ ადგენდა გაზ „ერთობისათვის" სხდომების ანგარიშებს, სადაც სისწორით იყო გადმოცემული ჩვენი რევოლიუციის დუღილი და რაც უნდა ჩაითვალოს ერთ საუკეთესო მასალათ რევოლიუციის ისტორიისათვის.

ვენემ დაიწყო „ერთობაში" მუშაობა და სწერს პრინციპიალური ხასიათის წერილებს, რაშიაც უტყუარი პუბლიცისტური ნიჭი ეტყობა.

დაუღალავი ვენე არც პარტიულ მუშაობას სტოვებს; მან სამირკველი ჩაუყარა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას, რომელშიაც დღეს ათასობით ითვლებიან წევრები. აგრეთვე ჩაუდგა სათავეში ახალგაზრდათა ორგანოს „ახალ კვალს".

ერთი სიტყვით, ვენემ არ იცოდა დაღლილობა რა იყო და ისედაც დაავათმყოფებულმა ჭლექით, თავის ჯანს დიდი ზიანი მიაყენა და შარშან ამ დროს შეეწირა მსხვერპლათ ჩვენ თავისუფლებას.

ამხ. ვენე, გიგონებთ წლის თავზე და მუდამ მოგაგონებთ შენ ყველა ის ამხანაგები, ვისთანაც ერთად იზრდებოდი და იბრძოდი გასაჭირს, აგრეთვე ყველა შენი იდეალების მატარებელნი ამხანაგები დავსდებთ ფიცს, რომ შენი იდეალები და თავისუფლებისთვის მსახურება ჩვენთვის მუდამ იქნება მისაბაძი და არ დავზოგავთ სიცოცხლეს თავისუფლებისათვის.

იძინე ამხ. ვენე! შენი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანს მოღვაწეობას არ დაივიწყებენ გულითადი ამხანაგები და აგრეთვე გათვითცნობიერებული საქართველოს დემოკრატია.

ოქრო ლაცაბიძე

## ერთი დემაგოგიის გამო

დამფუძნებელი კრების 9 დეკემბრის სხდომაზე დამფუძნებელი კრების წევრმა, სოც.-რევ. ფრაქციის წევრმა ბ. ლ. შენგელაიამ ადმინისტრაციის შესახებ კამათის დროს ისეთი დამახინჯებული, ფაქტები მოიყვანა, სხვათა შორის გურიის ცხოვრებიდან, რომ ყოველ ადამიანს აღშფოთებაში მოიყვანდა. მე მაშინვე მინდოდა სიმართლის აღსადგენად პასუხი გამეცა ბ. შენგელაიასათვის, მაგრამ მოვიგონე რა, რომ ჩვენი „ოპოზიციონერების" ასეთი ყალბი საბუთებით გამოსვლა არ ახალია, ამიტომ ვარჩიე ისევ გაჩუმებულიყავი. მაგრამ რადგან ბ. შენგელაიამ ეს დამახინჯებული ფაქტები და ტყუილი საბუთები გაიმეორა დამფ. კრების 26 დეკემბრის სხდომაზე, მე საჭიროდ ვცანი ვაუწყო საზოგადოებას ნამდვილი ვითარება. საქმე შემდეგშია.

სექტემბრის შუა რიცხვებში ოზურგეთში შესდგა გურიის სამაზრო სათემო ყრილობა. ერობის გამგეობამ ამ ყრილობაზე გააკეთა ვრცელი მოხსენება მიწის გადასახადების შესახებ და სხვა. შეკითხვების და ახსნა განმარტების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ მას ესმის დღევანდელი ჩვენი რესპუბლიკის ფინანსიური კრიზისი, მხარს უჭერს გადასახადების აკრეფის აუცილებლობას და მთელი თავის ძალით ეცდება, რომ იგი სისრულეში იქნას მოყვანილი.

ბ. შენგელაია კი ამბობს, რომ „გურიის სამაზრო სათემო ყრილობამ უარი განაცხადა გადასახადების გადახდაზეო".

რისთვის დასჭირდა ბ. შენგელაიას ასეთი დამახინჯება ფაქტისა და ტყუილის თქმა? თუ ბ. ლ. შენგელაიას და მის თანამოაზრეთა გონებით, რომ ოპოზიციაში ნიშნავს ტყუილ საბუთების და ფაქტების დამახინჯებას,—ძალიან სცდებიან.

„ქმარი ლაშქარში იყო და ცოლი ამბავს ახვედრ დედაო"—სწორეთ ასეა ბ. შენგელაიას საქმე. მე დავუწარი აღნიშნული ყრილობას და სიტყვა—სიტყვით მოვიყვანე იქ მიღებული დადგენილება.

იცრუეთ, ბ. ბ. შენგელაიებო, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოს დემოკრატია საზოგადოთ და დემოკრატია იმ გურიისა, რომელიც თქვენ ერთ-ერთ სხდომაზე „ანარქის ბუდით" მონათლეთ, ენდობა თავის მთავრობას, იზიარებს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ყოველ მის წინააღმდეგ გამოლაშქრებულ მტერს სათანადო და სამართლიანი პასუხით გაუმასპინძლდება.

დამფ. კრ. წევრი ხიმონ ხურცილაძე.

## უცხოეთი

**რ უ ს ე თ ი.**

**ნოვოჩერკასკის სამხედრო წრეებში** ლოიდ ჯორჯის უკანასკნელმა სიტყვამ, რომელიც შეეხებოდა რუსეთის საკითხს, მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა. აქაურ სამხედრო წრეების აზრით, ლოიდ ჯორჯის განცხადება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ უკანასკნელმა არ იცის ნამდვილი მდგომარეობა რუსეთის სამხედრო წრეებში იმედი არ დაუკარგავთ, რომ ინგლისის მთავრობა კვლავ გაუწევს მათ მატერიალურ დახმარებას ბოლშევიკების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

**პროფესორ ბერნადსკის აზრი.** მოხალისეთა სარდლობის საფინანსო სამმართველოს უფროსმა პროფეს. ბერნადსკიმ ლოიდ ჯორჯის უკანასკნელი გამოსვლისა და ორიენტაციის საკითხის შესახებ შემდეგი განაცხადა: ლოიდ ჯორჯის განცხადებამ გამოიწვია ჩვენში ათასი მითქმა-მოთქმა ორიენტაციის შეცვლის შესახებ. ჯორჯი სცდება და გამოჩენილი ინგლისელი საზოგადო მოღვაწეები არ იზიარებენ მის შეხედულებას, რომელიც ყველაზე უფრო დამღუპველი დასავლეთისათვის იქ ცებოდა, ვინემ რუსეთისათვის. „რუსეთს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დაუხმარებლათ შეუძლია იცოცხლოს, მაგრამ დასავლეთს ურუსეთოთ—არას დროს!", ბერნადსკის აზრით რუსის ხალხმა არ უნდა გამოიცვალოს ორიენტაცია, ვინაიდან ეს მოასწავებდა საერთაშორისო ომის განგრძობას, რაშიც დასუსტებული გერმანია ვერავითარ დახმარებას ვერ აღმოუჩენდა რუსეთს კერენსკის აგიტაციის შესახებ, რომელიც იქით არის მიმართული, რომ მოკავშირეები არ დაეხმარონ მოხალისეებს,—პროფესორმა განაცხადა: შთაბეჭდილებას ახდენს არა ეს აგიტაცია, არამედ ის გარემოება, რომ სახელმწიფო მოღვაწენი ანგარიშს უწევენ კერენსკის განცხადებებს, რომელმაც ბერნადსკის აზრით, საბოლოოთ დაკარგა ყოველივე პრესტიჟი მისი უკანასკნელ გამოსვლების დროს.

**ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი.**

**ბინების კრიზისი.** საფრანგეთი ბინების დიდ კრიზისს განიცდის ამას თუნდა ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ ახალი არჩეული დეპუტატები, რომლებიც პროვინციიდან პარიზში ჩამოდიან, ბინებს ვერ შოულობენ. გაზ. „ლიბერტე" ამის შესახებ სხვათა შორის შემდეგს სწერს: „უფრო ადვილია პალატაში სავარძლის შოვნა, ვინემ პარიზში ოთახისა".

**ო ს მ ა ლ ე თ ი.**

**ქურთების გადაწყვეტილება.** დიარ ბეკირის ქურთებს გადაუწყვეტიათ საკუთარი ძალებით დაიცვან თავიანთი თავი და იარაღით შეებრძოლონ ყოველგვარ ცდას, რომელიც ვილაეთის ოკუპაციისაკენ იქნება მიმართული.

**ოსმალეთი და მცირე ერების ბედი.** მოხდა შეთანხმება ანტანტასა და დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის, რომლის ძალითაც დაცული უნდა იქნეს წვრილ ერთა ინტერესები ოსმალეთში და ბალკანეთის სახელმწიფოებში. ამის გამო აზ. „იკდამ"-ი შემდეგს ამბობს: ჩვენ არ გვაშინებს გარეშე ძალის კონტროლი წვრილ ერთა ინტერესების დაცვის საქმეში. ოსმალეთს უკვე აქვს ერთგვარი პოლიტიკური და ადმინისტრატიული ტრადიცია, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ ყოველთვის ვიცავდით უმცირესობათა ინტერესებს. კონტროლი გაზეთს სასიამოვნოთაც მიაჩნია, ვინაიდან ანტანტა ასეთივე მეთოდებს მიმართავს ბალკანეთის სხვა სახელმწიფოების მიმართაც.

**ი ტ ა ლ ი ა.**

**პურის კრიზისი ევროპაში..** ევროპა დღეს პურის ისეთ კრიზისს განიცდის, როგორიც ჯერ არ მოსწრებია ქვეყანას. მომავალ წლისთვის პურის დეფიციტის რაოდენობა ევროპაში 200 მილ. ცენტნერში გამოიხატება. საფრანგეთში წელს 48 მილ. ცენტნერი პური მოვიდა მაშინ, როდესაც ჩვეულებრივათ 61 მილ. ცენტნერი მოდიოდა. ინგლისის დეფიციტი 5 მილ. ფუდის, ისპანიის—4 მილ. ცენტნერს. მომავალ წლის იანვრიდან ევროპის სახელმწიფოები დაიწყებენ პურის შემოტანას ევროპის გარეშე ქვეყნებიდან.

**ა მ ე რ ი კ ა.**

**საერთაშორისო ზომები.** შეერთებულ შტატებში მყოფ მოკავშირე სახელმწიფოების ეკონომიურ მისიათა შორის მოხდა შეთანხმება საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის დაარსების შესახებ, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს სახელმწიფოთა შორის სავაჭრო დამოკიდებულებას.

**ა ვ ს ტ რ ი ა.**

**სახელმწიფოთა ეკონომიური კავშირი** ავსტრიის პოლიტიკურ წრეებში მიზანშეწონილად თვლიან ავსტრიის, უნგრეთის და ჩეხო-სლოვაკიის ეკონომიურათ შეკავშირებას. შესაძლებელია მომავალ კავშირში სამხრეთ-სლავიაც შევიდეს. ეკონომიური კავშირი ზემო ხსენებულ სამ სახელმწიფოთა უკვე მოხდენილ ფაქტათ ჩაითვლება. ეს კავშირი არავითარ პოლიტიკურ მიზანს არ ისახავს. ადვილი შესაძლებელია ამ ეკონომიურ კავშირში შევიდეს იტალიაც.

**ჩ ე ხ ო - ს ლ ო ვ ა კ ი ა**

**მუშები და ნახშირის კრიზისი.** ჩეხო-სლოვაკიაში დღემდე დიდი ნაკლებობა იყო ნახშირის. მცხოვრებნი უთბობელ სახლებში იყინებოდნენ. საგრძნობლათ შემცირდა მუშაობა სათბობ მასალის უქონლობით აგრეთვე ფაბრიკა ქარხნებშიც, მაგრამ მაღაროებში მომუშავეებმა გადიდეს სამუშაო დღე, რამაც ნახშირის ამოღების წარმოების ნაყოფიერება საგრძნობლათ გაზარდა.

## მომარაგების სამინისტროსაგან

სია იმ საქონელთა, რომლის საზღვარ გარეთ გაზიდვისათვის ნებართვა არ არის საჭირო:

1 მოცვის ჩაი ტომრებით და „პაჩკებში", 2) ადგილობრივი ყავა (სოიასაგან) 3) გლაუბერის მარილი, 4) ტომატი (პიურე), 5) სიმინდი (ტყლაპი) 6) დაფნა, 7) შავი ხურმა, 8) მზესუმზირა, 9) ფორთოხალი და მანდარინა, 10) შავი პილპილი, 11) სელტერის წყალი, 12) აგური, 13) კრამიტი, 14) ბორჯომის და ავჭალის ქარხნის ჭურჭელი, 15) წითლის ხისაგან გაკეთებული კასრები (ბოჭკები) 16) ადგილობრივათ დამზადებული ოდეკოლონი 17) ვეგეტალი, 18) თიხისცხლის წასასმელი მაზი, 19) ყოველგვარი ადგილობრივი ნედლი ხილი, 20) „სეცენცები" და „დიჩკები", 21) კიტრი ახალი და მჟავე, 22) ბორჯომის წყალი, 23) მე 30 ნახშირიანი გაზი, 24) ადგილობრივათ დამზადებული მელანი, 25) ინფუზორიტი (კიზელგური), 26) ჩვეულებრივი კირი, 27) ბრიტი, 28) ცეცხლ-მიუკარებელი აგური ადგილობრივათ დამზადებული, 29) ცოცხები და ადგილობრივათ დამზადებული ნაგვის თოფრები, 30) ხის ყუთები და საქონლის ჩასაწყობი წნული კალათები, 31) კოფიცა, ვანილი და სახვა. 32) ხელოვნური ყინული, 33) ხლორიანი კირი, 34) ცეცხლ-მიუკარებელი თიხა და 35) მუსრო (ქვაკუთხი ხიანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

9 დეკემბერი.

დილა წყნარი ჩამოდგა. კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს მზემ თავისი სხივები მოაფრქვია.

მიწყნარებული, დადუმებული ჯავის ხეობა ამშვიდა. სურათი გამოიცვალა. ხალხი თან და თან დაბრუნდა გუნთა, მხლებში და ზოგიერთ სხვა სოფლებში მუშაობას შეუდგენ. დამოკიდებულება იცვლება. ქართლის გვარდიის სულიერი განწყობილება კარგია, მოქმედება დამაკმაყოფილებელი. ხალხი თოფებს ეზიდება. ჩვენს ყურადღებას იქცევს ჯავის კომისარის და ახალგაზრდა ოსმილიციონერთა ცოცხალი საქმიანობა, მათი სიხალისე და გარჯა.

ჯავის რაიონის კომისარი ყოფილი აფიც. ხ. გასიევი 7 თვეა იქნება, რაც თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა. იგი მხნე და ენერგიულია. მის მოქმედებას ყველგან დამაკმაყოფილებლათ აღიარებენ და ეგ უკვე სჩანს დღეს. მართალია, მას მეამბოხეთა მეთაურები მოღალატეს უწოდებდენ, მაგრამ იგი მიუხედავათ ამისა, არ უფრთხოდა.

ასეთივე მხნე და გაბედული იყო და არის როკის მილიციის უფროსი ყოფილი ბაქოელი მუშა მ. ჩაბიევი, რომელიც 4 თვეზე მეტია მსახურობს და თუ სხვა ვერ გააკეთა რა, მან მაინც გასიევთან ერთად ხელი შეუწყო ერთგვარ მდგომარეობის განმტკიცებას საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში.

ის საქმიანობა, რომელიც მოწინავე წრეში არის, ჩვენ იმედებს გვ ძრავს, რომ ახლო მომავალი უკეთესი იქნება ოსეთის რაიონში.

დილით ადრე შენგელიას რაზმმა კოშკიდან წასვლა დაიწყო როკისაკენ. რაზმი შესდგება სხვა და სხვა ნაწილებისაგან და თან ეხლა გორის სამოქალაქო შტაბის წევრი მ. ილურიძე. ამ რაზმმა 6 დეკემბრიდან ჯავის რაიონის მარჯვენა მიმართულება შემოიარა და კოშკამდე განიარაღება მოახდინა.

როკის შესახებ სწორი ცნობები ასეთი იყო: მთა-ოსეთში დიდი მღელვარება გამოიწვია ჯარების მსვლელობამ. კრებები იმართებოდა, ყველგან ორი აზრი და ორი მიმდინარეობა იყო: ბრძოლა და მშვიდობიანობა.

ორ ადგილას მარჯვენა მიმართულებით მათ განიზრახეს ხეობის შეკვრა, მაგრამ ჯარის მიახლოვებისას გაიფანტნენ.

იყო დიდი ყოყმანი და რყევა.

გამოირკვა, რომ „ბოლშევიკების" ერთი ნაწილი გრძნობდა დამარცხებას და აშკარათ ეუბნებოდენ ხალხს:—ეხლა ბრძოლა აღარ შეიძლება, დამორჩილდით და თავიანთი გუდა-ნაბადით მიემგზავრებოდენ. მეორე ნაწილი ალექსანდრე გაგლოევის მეთაურობით ხალხს მოუწოდებდა ბრძოლისაკენ. დაცურ სიცოცხლეს, ვაჟკაცურით სიკვდილი სჯობიაო. ისინი ჯარების მსვლელობას შემდეგნაირათ აუწერდენ ხალხს: სახლებს სწვავენ, ქალებს ნამუსსა ხდიან, ახალგაზრდებს ხვრეტენ, ყველაფერი მიაქვთ.

ხალხი პირველად თავზარ დაცემული გარბოდა, თავიანთ ბარგი—ბარხანას ტყეებში, თოვლში მარხავდა.

ეს იყო წინა დღეებში, მაგრამ ჯავის, ქემულთის რაიონებში ჯარების შესაფერმა მოქმედებამ, შენგელიას რაზმის მსვლელობამ, აგრეთვე თვით როკის დელეგაციამ სინამდვილე დაანახვა ხალხს და როგორც იფანტებოდა ის ბურუსი, რომელშიაც ხალხი თავიანთ დამარცხებულ მეთაურებმა ჩააყენეს.

სოფ. ხვცე და კოშკიდან სამგზავრო გზები თითქმის არ არის. ამიტომ ხალხის, ცხენების მგზავრობა მთის ბილიკებში, უღელტეხილებში მძიმე პირობებში ხდებოდა. მიუხედავათ ამისა ჯარი ყოველ მხრივ ცოცხლად მიემართებოდა როკისაკენ.

ქემულთის რაიონიდან ცნობა მივიღეთ, რომ ჩიგიძის რაზმმა ქემულთის რაიონის განიარაღება მოახდინა და ჯავის თავი დაიჭირა

დაღამდა. მოწმენდილი და წყნარი ღამე ჩამოდგა ჯავაში. სავსე მთვარემ კავკასიონის მწვერვალები გადმოლახა და ლიახვის ხეობას გადმოხედა.

ცივი ღამე თოვლით მოსილი უღელტეხილები, ხეობები, მდუმარებით მოცული მთები და ტყეები, ლიახვის გუგუნი ხმაურობა ადამიანს დაგაფიქრებდა, გაგიტაცებდა, მაგრამ ამ გიტაცებას საწყალოდ ბოლო ეღებოდა ჩვენში, როცა ცხოვრების სინამდვილე წინ გეშლებოდა; ამ მშვენიერ მხარეში დახეთ, ყველაფერი უკულმართად მოწყობილა!..

დაღამებიდან ჯრობით ვაკეს მაღლობის განაპირა მხარეებში აქა-იქ ტყეებში ცეცხლი გამოჩნდა.

და რისთვის არის ის ცეცხლი? ვიკითხეთ ჩვენ.

ტყეებში იწვის, ბატონო, გვიპასუხეს. როგორ? რისთვის?

ეგ ხშირათ ბუდეა დაუდევრობის გ. მო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მართლაც, ტყეები უპატრონოთ არის. არავინ არ აქცევს ყურადღებას. მშვენიერი სიმდიდრე ნაძვისა და ფიჭვის ტყეების სახით ილუპება. ეს ორი წელია იჩეხება, იწვის.

ტყის მცველები არ არის თქვენში? შევეკითხეთ მათ.

არიან.

რას აკეთებენ?

სჩეხენ ტყეს.

ტყის უფროსი, რაღას აკეთებს?

იგი არც გვინახავს დიდი ხანია.

არც, წინეთ?

წინეთ ვერ იქცეოდა კარგათ. არც ეხლა არიან კმაყოფილი. რაც უნდა იმას სჩადის.

ვინ არის იგი?

ისიჩენკო.

ისიჩენკოს შესახებ საყვედურები, საჩივრები ყველგან მოვისმინეთ და ყველანი ითხოვდენ მის გაძევებას.

ღამის 9 საათზე ჩვენ საუზარში ვიყავით. ჩვენს წინ იყო მოხუცი, თითქმის ყველგან ნამგზავრი, გამოცდილი ინტელიგენტი და საერთოდ მიმდინარე მოძრაობაში ზომიერების დამცველი, ჰასიური პიროვნება...

თქვენ უფრო იცნობთ ხალხის მოძრაობას, მათ მეთაურებს, ხალხის ფსიქოლოგიას, საინტერესოა თქვენი აზრი, რას იტყვით?—შევეკითხა გ. ხ—შვილი.

და... ვიცი, მხოლოდ არც ისეა საქმე, როგორც ბევრს ჰგონია,—დაიწყო მან და განაგრძო,—ჩვენ ხალხს ინტელიგენცია ბევრი ყავს, მაგრამ ხალხი მაინც სიბნელით არის მოცული. ხალხის მასაში გაბატონდა ერთგვარი ანარქიზმი და ამას კავშირი აქვს ჯერ ერთი შინაურ ეკონომიურ მდგომარეობასთან და მეორეთ გარეშე მოვლენასთან. უნდა მართალი ვსთქვათ, ერთგვარ და დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი. უკიდურესი პარტიების გაბატონებამ გაუგებრობა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ადგილობრივ ხალხს შორის თანდათან გაადრმავა და ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ის მოვლენაც, რომ ხალხს სწორი ცნობები არ ჰქონდა. სხვადასხვა ორგანიზაციების მოვლინებამ ხან საბჭოს და ხან „ბოლშევიკების“ სახით, ხელი შეუწყო ხალხის ამხედრებას და ამას თან ერთოდა ამა თუ იმ განსაზღვრულ მომენტში ზოგიერთების უტაქტიკო გამოსვლა. მოძრაობის მეთაურები არიან კომუნისტები, მხოლოდ საერთოდ რომ ავიღოთ, დიდი ნაწილი [illegible]ან მისულია სხვადასხვა ინტერესების [illegible] მხოლოდ ახალგაზრდა სტუ[illegible] [illegible]მუნისტები, უნდა ითქვას [illegible], ნამდვილი რუსულ „ბოლ[illegible]ის“ მემკვიდრეებია. მასსა საერ[illegible] ძალთა განწყობილებას შეჰყუ[illegible]. იგი ძალას, მთავრობას ემორჩი[illegible]ა და რადგანაც ასეთი ძალა არ [illegible]ყო, იგი დამორჩილდა იმ ძალას, რომელიც ჩვენში დაბანაკდა და ამ გვარათ მასსა მათ მოძრაობას აჰყვა...

გარეშეები იყვნენ თუ არა თქვენში? იღებდენ თუ არა მონაწილეობას მოძრაობის სათავეში?..

რასაკვირველია მოდიოდენ. იცდიდენ. აწყობდენ თავიანთ საქმეებს...

სადაურები, ან ვინ იყვნენ?..

ვინ იყვნენ, ამის თქმა ძნელია. ჯერ ერთი, ისინი ნამდვილი გვარებით არ დადიოდენ, და მეორეთ სხვადასხვა სახელებს იცვლიდენ. ეგ ჩვენი მხარე ისეთ კუთხეთ იქცა ეს ორი წელია, რომ საიდან არ მოდიოდენ,—ვლადიკავკავიდან, გროზნიდან, თფილისიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან, საჩხერიდან, რაჭიდან და როგორ ჩამოვთვალოთ...

ჰქონდა თუ არა ნაციონალურ მოძრაობას ფართე ხასიათი?..

ამაზე ბევრს ლაპარაკობენ, ბევრი მითქმა-მოთქმაა, მხოლოდ ყოველივე გადაჭარბებულია. მაგრამ უნდა ითქვას,—არის ნაწილი ინტელიგენციის, რომელიც ემსახურება ნაციონალურ მოძრაობის პრინციპებს...

ჩემის აზრით, აქ სიფრთხილე უნდა. სიფრთხილე ისეთი, რომელიც მართლაც განსაკუთრებულ განხვავებას, სახეს არ მისცემს, რადგანაც ხალხი სახელმწიფოს საერთო ფარგლებს უნდა დამორჩილდეს.

მ. სანაკოევი რა როლს თამაშობდა? იცნობთ თქვენ?

სიმართლე უნდა ითქვას, რომ იგი ძველ წყობილებაში გაზრდილი ოფიცერია. მ[illegible]ყაითი, მხნე საქმის, მხოლოდ თავისებური, მოყვარული ძალა-უფლების, ბატონობის, მეთაურობის. ამიტომაც მან დაიწყო საქმე. მისთვის პარტია სულ ერთია, იგი იმ პარტიისა, ვინც მის ძალა უფლებას სცნობს...

ეხლა სად წავიდოდა?

ვინ იცის. ის უთუოდ დენიკინის ჯარში დაიწყებს სამსახურს.

ობოლი მგზავრი.

# პროფესიონალურ კავშირებში

ფურნეებში მომუშავეთა კავშირში, 17 დეკემბერს, საღამოს 10 ნახ. საათზე სასტუმრო „საქართველო“ში სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარგულებით დატუსაღებულ იქნა მეპურეთა კავშირის თავმჯდომარე გ. მილორავა. კავშირის გამგეობის გამოძიებით მას რკინის გზის ცენტრალურ ფურნის მოიჯარადრეებიდან აუღია ქრთამი 5,000 მანეთი. მილორავა ციხეში იქნა გაგზავნილი. 19 დეკემბერს შესდგა მეპურეთა კავშირის გამგეობის სასწრაფო სხდომა, რომელმაც დაადგინა: გადაყენებული იქნას მილორავა კავშირის თავმჯდომარეობიდან და გამოირიცხოს კავშირის წევრობიდან. ამავე დღეს მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები, სადაც დროებით საზოგადო კრების მოწვევამდე არჩეულ იქნა თავმჯდომარეთ სტ. გურული და ამხანაგათ ალესიანი. არჩეულ იქნა საკონფლიქტო კომისია ქვანცხავას თავმჯდომარეობით. ამასთან ერთად დადგენილ იქნა: 1) კვირას, 28 დეკემბერს მოწვეულ იქმნას საკანდიტრო სახელოსნოში მომუშავეთა საერთო კრება; 2) ხუთშაბათს, ნაშუადღევის 5 საათისათვის მოწვეულ იქნას გამგეობის შეერთებული სხდომა, რომელზედაც მოწვეულ იქნებიან შემდეგი კავშირებიდან: 1) სარდაფში მომუშავეთა, 2) მინერალურ წყლებზე მომუშავეთა, 3) ლუდის ქარხანაში მომუშავეთა, 4) პურის მცხობლების, 5) მეწისქვილეების, 6) ზეთისა და საპნის ქარხნის მუშათა, 7) კოლბასნიკების, 8) მეხორცეების, 9) მაკარონის ქარხნების მუშათა, 10) გალეტისა და კამფეტის დამამზადებელ ქარხნის მუშათა და 11) ჩაის სარჩევ ქარხნის მუშათა კავშირებიდან.

გამგეობის მორიგი სხდომები დანიშნულია შაბათობით საღამოს 4 საათზე.

**პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.** 24 დეკემბერს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ილ. ბადრიძემ, რომელიც კომიტეტის მიერ გაგზავნილი იყო თელავსა და ბორჯომში ადგილობრივ კავშირებში მოხსენების გასაკეთებლად და საბჭოს შესაქმნელად. მომხსენებელის სიტყვით, თელავში კავშირების ორგანიზაცია ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული. მომხსენებელს მიუთითებია მათი მთავარი ნაკლისათვის და მალე, მისი აზრით, ისინი ნორმალურ სახეს მიიღებენ. პროფესიონალურ კავშირთა ბიუროს ადგილობრივად გამოუტანია დადგენილება სამაზრო პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების მოწვევის შესახებ. ბორჯომში ყოფილა ორი კავშირი მუშებისა და მოსამსახურეების ცალ-ცალკე. მოსამსახურეებს წინადადება მიუციათ მუშებისათვის შეერთებულიყვნენ, მაგრამ უკანასკნელთ ეს, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ მიუღიათ და დღესაც ეს საკითხი არ არის გადაწყვეტილი და ისინი ცალ-ცალკე განაგრძობენ მუშაობას.

მომხსენებელის სიტყვით, ორივე კავშირები სიამოვნებით ასრულებენ ყველა ვალდებულებებს, რომელსაც მათ ცენტრალური საბჭო დააკისრებს.

აღმასრულებელი კომიტეტი საჭიროდ ალიარებს საქართველოს პროფ. კავშირთა პირველი ყრილობის ოქმები რუსულ ენაზედაც იქნას გამოცემული, კომიტეტი ამ აზრს წარუდგენს დასამტკიცებლად მომავალ კონფერენციას.

# ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 20 დეკემბერს შესდგა ს. ს. დ. ქალთა კომიტეტის მორიგი სხდომა. დღის წესრიგი: 1) ნ. ჩხეიძის 25 წ. იუბილე; 2) მოხსენებები; 3) ბავშვობის და დედობის დამცველ საზ. შესახებ; 4) მიმდინარე კითხვები.

კრებამ მოისმინა მ. ტოროშელიძის მოხსენება ნ. ჩხეიძის იუბილეს შესახებ და დაადგინა: გაიგზავნოს ორი წარმომადგენელი მ. ტოროშელიძისა და ც. დარახველიძე, რომლებიც მიესალმებიან იუბილიარს ქალთა ორგანიზაციის სახელით, ამასთანავე რადგან ფართო მასსას არა აქვს საშუალება დაესწროს იუბილეს დღეს თითონ, ნახოს და გაიზიაროს ხალხის საერთო ზეიმი, ამიტომ ორგანიზაციების ბიურო მოაწყობს ახლო მომავალში ქალაქის განაპირა უბნებში იუბილეს დღეს, სადაც მოწვეული იქნება ნ. ჩხეიძე.

ბავშვობის და დედობის დამცველ საზოგადოების შესახებ კამათს იწვევს საწევრო და შესასვლელი გადასახადი. უმრავლესობის აზრით უღარიბესი დედებისთვის შეუძლებელია საზოგადოებაში ჩაწერა წევრათ, რადგან 20 მან. ის ვერ გადაიხდის. კრების აზრით საჭიროა ამას სათანადო ყურადღება მიაქციოს ბავშვთა და დედათა დამცველ საზოგადოებამ. მოხსენებები უდროობისა გამო არ მოისმინა კრებამ.

—

**ბორჯომი.** 18 დეკემბერს მოხდა ბორჯომის ს. ს. დ. მ. პ. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების შეერთებული კრება, კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ამხ. ელისაშვილი. შინაურ და გარეშე მდგომარეობის შესახებ და კოლექტივიდან მოხსენება გააკეთა ამხ. ქ. შახნაზაროვმა, რომლითაც კრება დაკმაყოფილდა. ამხ. ვ. მაჭავარიანი აცნობს კრებას, რომ კომისიამ შეკრიფა ამხანაგებ შორის 2121 მ. გ. თაქთაქიშვილის დასახმარებლად. კრებამ მადლობა გადაუხადა გ. მაჭავარიანს ენერგიულ მუშაობისათვის.

ქ. დინჯაძე.

—

**ნავთლუღი.** 25 დეკემბერს შესდგა ჩვეულებრივი კრება საქ. სოც. დემოკ. მუშათა პარტიის მე-7 რაიონულ კოლექტივისა. თავმჯდომარეობდა აქვ. რაზმაძე.

მოხსენება თფილისის კომიტეტიდან გააკეთა კომიტეტის წევრმა ევტ. ლორიამ, მან გააცნო კრებას კომიტეტში გარჩეული კითხვები, გადასახლების შესახებ კრებამ დაადგინა: რომ ყველა წევრებმა თვალ ყური ადევნონ, რათა არა საიმედო პირები, რაც შეიძლება დაუყოვნებლივ იქნან გადასახლებულნი და ეს საკითხი იქნას გადატანილი აგრეთვე იაჩეიკებში, რათა იმათაც მიიღონ მონაწილეობა.

კრებამ მიიღო მხედველობაში სომხეთის ს. დ. სექციის თხოვნა სექციის კრებებზე კოლექტივის წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ და აირჩია ბუღდან ყაზაროვი. კრებამ მოისმინა განცხადება ცომაიასი იაჩეიკებში პარტიული მუშაობის სისუსტის შესახებ და დაადგინა: ევალებათ იაჩეიკების თავმჯდომარეებს გადაიტანონ კოლექტივში გარჩეული კითხვები იაჩეიკებში და როდესაც კოლექტივი მოაწყობს პარტიულ კრებას ან მოიწვევს ლექტორს, უეჭველათ დაესწრონ მთელი შემადგენლობით არსებულ იაჩეიკებისა.

მდივანი.

# მუშათა შორის

**ავლაბრის მუშათა კლუბი.** 22 დეკემბერს შესდგა შეერთებული სხდომა ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტისა და ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობისა. სხდომა გახსნა ამხ. იოსებ ხუციშვილმა, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობის უნუგეშო მდგომარეობა განათებისა, გათბობისა და დარაჯის უყოლობის მხრივ, გამოირკვა, რომ მთავარ გამგეობას ჯერ-ჯერობით არ შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს ავლაბრის უნივერსიტეტს. შეერთებულმა სხდომამ გადასწყვიტა უნივერსიტეტს მიეცეს მატერიალური დახმარება მუშათა კლუბის ბიუჯეტის შემოსავლის წმინდა მოგებიდან. ამხ. ს. ქორქელიანი სხდომას აცნობს, რომ დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ დეკრეტიდან კულტურულ განმანათლებელ საჭიროებისათვის გადადებული არის შესაფერისი თანხა. ამის და მიხედვით სხდომამ იქონია მსჯელობა და აირჩია კომისია, რომელმაც უნდა აღძრას შუამდგომლობა სახალხო განათლების მინისტრთან, რათა მან გადასდოს საჭირო თანხა ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის უკეთესს პირობებში ჩაყენებისათვის. მუშათა კლუბის გამგეობამ „მსახიობთა დღეში“ მონაწილეობის მისაღებად აირჩია ამხ. იოსებ ხუციშვილი.

განიხილეს რეჟისორების განცხადება, რომელნიც თხოულობენ ჯამაგირების მომატებას, დაადგინეს ეს საკითხი განსინჯოს პრეზიდიუმმა და თავის დასკვნით წარმოადგინოს მომავალ სხდომაზე.

შტატის მომატების შესახებ გამგეობამ იქონია მსჯელობა და უარყო ის. გამგეობის წევრთ დაევალა გასწიონ მორიგეობა განსაზღვრულ დღეებში, წინააღმდეგ შემთხვევაში თითეული გამგეობის წევრი დაჯარიმებულ იქნება 50 მანეთით.

ვერხვი.

—

**გორი.** მოწინავე მუშების მეცადინეობით მოეწყო პროფესიონალური კავშირები შემდეგ დარგებში: ერობის მუშამოხელეთა, გორის მუშა-ნოქართა, ხელზე მოსამსახურეთა, კოოპერატივთა კავშირის მუშა-მოხელეთა, ფარმაცევტთა, ქალაქის თვითმართველობის მუშამოხელეთა, ექიმის თანაშემწეთა, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა, პირველ-დაწ. სკოლების მასწავლებელთა, საშუალო სასწავლ. მასწავლებელთა. ამ კავშირებმა კავშირთა კავშირის საბჭოც აირჩიეს, რომლის პირველი სხდომა 23 დეკემბერს შესდგა და აირჩია პრეზიდიუმი შემდეგ პირებისაგან: ი. რუხაძე (თავმჯდომარე), ქ. ცერცვაძე (თავმჯდ. ამხანაგი), ბ. გაჩეჩილაძე (მდივანი), ვ. მაკულარია (ხაზინადარი) და ს. ცერცვაძისა (ტრანსპორტიორი). ამასთანავე სხდომამ საპატიო თავმჯდომარეთ აირჩია ი. გაბუნია. საბჭომ ჩვეულებრივი სხდომები დანიშნა კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით, საღამოს 5 ს., ამასთანავე საბჭომ იქონია მსჯელობა თავის მომავალ ფინანსებზე და გამოსთქვა სურვილი, რომ ამიერიდან სისტემატიურათ შემოიტანონ გორში არსებულმა კავშირებმა თავისი შემოსავლის 50 პროცენტები კავშირთა კავშირის საბჭოს კასაში და თავის მხრივაც კავშირთა კავშირის საბჭომ თავისი შემოსავლის 50 პროცენტი შეიტანოს საქ. რესპ. ცენტრალურ საბჭოს სალაროში. დასასრულს საბჭომ მომავალ 27 დეკ. საქ. რესპ. კავშირთა ყრილობაზე წარმომადგენლათ აირჩია ამხ. ს. ცერცვაძისა.

ი. ქუტირელი.

# პროვინცია

**ზემო გომი (ქართლი).** ამა წლის დეკემბრის 13-ს საღამოს დაახლოებით 10 ს გომის თემის სოფ. საციხურში მცხოვრებ შაქრო ყურთმაჯაშვილთან მისულა ავლევის თემის მილიციის უფროსი ბ. ბუზალაძე თავის მილიციონერებით ძალზე მთვრალები და გამოუძახნიათ გარეთ ხსენებული ყურთმაჯაშვილი, რომლისთვისაც უბრძანებიათ: ამაღამ ბინა უნდა მოგვცეო. ყურთმაჯაშვილს უპასუხნია: თქვენ ვიღაც შეიარაღებული ხალხი ხართ, ასეთი უცნობი შეიარაღებული ხალხის სახლში შეშვება სახიფათოა და ამისათვის მე არ შემიძლია თქვენ მიგიღოთო. ამ სიტყვის თქმისთანავე მიცვინულა ბუზალაძის „კამანდა“, უტაცნიათ ხელი ყურთმაჯაშვილისთვის და ძალიან მაგრათ უცემიათ: როგორ თუ ვერ გვიცნობ, მილიციის უფროსი და მილიციონერები ვართო. ყურთმაჯაშვილს უთქვამს მილიციის უფროსს და მილიციონერებს ჩვენი თემისას ყველას ვიცნობ და თქვენ მათგანი არც ერთი არა ხართო. ეგეთი „უზრდელი“ ლაპარაკი გლეხისა არ მოსწონებიათ ბ. ადმინისტრატორებს და თოფის კონდახებით დაუწყიათ ყურთმაჯაშვილისთვის ზურგის ზელა; ცემა აღარ უკმარებიათ და დაუყვირნიათ „კამანდირს“: „ეგ მხეცი მოკალითო“, მილიციონერს თოფიც მიუშვერია, მაგრამ იმდენათ მთვრალი ყოფილა, რომ თოფის ჩახმახზე შეყენება ველარ მოუხერხებია და დაუწყვია გინება თოფისთვის. ყურთმაჯაშვილს რომ უფიქრია, ესენი აღარ მეხუმრებიანო, გამწარებული სცემია მილიციონერს და თოფი და რევოლვერიც წაურთმევია. ამ დროს სოფელს გაუგია ეს ამბავი და მოსულა იქ. ბ. კომისარს ხალხისთვის ყურადღება არ მიუქცევია და უბრძანებია ხელქვეითებისთვის მოჰკალით ყურთმაჯაშვილიო. ყურთმაჯაშვილს რომ ეს ბრძანება გაუგონია, მაშინვე დასძრომია ხელიდან და ხალხში დამალულა. როდესაც ყურთმაჯაშვილი ხელთ აღარ ყოლიათ და ველარ უპოვნიათ, მიუციათ „ზალპი“ მისი სახლისთვის, სადაც გაუსვრიათ 200 ცალზე მეტი ტყვია და სულ დაუცხავებიათ იქაურობა.

ეგ ხომ ასე მოხდა, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ამისთანა სამწუხარო ამბავს ბევრს ვხედავთ და ბევრიც გვესმის ხოლმე. ცემა-ტყეპას ხომ დასასრული არა აქვს მილიციის მხრივ. სად არის ერობა? რატომ ყურადღებას არ მიაქცევს დროზე ასეთ მოვლენებს?

ხარდალი.

# წერ. რედაქციის მიმართ

**ღია წერილი ქალბატონ თურქესტანიშვილს**

ამას წინად ქ. თბილისში ბ. მიშა კლიმიაშვილი (გორის სამაზრო ერობის გამგეობის წევრია), სწვევია სტუმრად ქალბატონ თურქესტანიშვილს, რომელსაც უამბნია ბ. კლიმიაშვილისათვის, ვითომც მე, ს. თელათგორის სკოლის გამგეს, მეწამებინოს მოწაფე და ქურდობა დამებრალებინოს უკანასკნელის დედისათვის, რომელიც ვითომც და ამის მიზეზით გარდაცვალებულიყოს. ქალბატონ თურქესტანიშვილისას უთხოვია კიდეც ბ. კლიმიაშვილისათვის დახმარების აღმოჩენა რაიმე საშუალებით. ეს ამბავი მოხდა ჩემი გორში ყოფნის დროს და საიდან შემეძლო მოწაფე მეწამებინა, ან სადაური მოწაფე იყო ის ქალი? არც ერთი და არც მეორე სიმართლეს არ შეესაბამება. თუ ქალბატონ თურქესტანიშვილს ისა სწყინს, რომ განსვენებულ დედა მისს ქურდობა დასწამა თავისმა მოსამსახურემ, რომელმაც თავის ხელით მომიტანა ფული და დანარჩენის პატიება მთხოვა, ამ შემთხვევაში თელათგორის სკოლის გამგე რა შუაშია? წინადადებას ვაძლევ ქალბატონ თურქესტანიშვილს ან თავი დაანებოს ასეთ ენა-ტანიობას და ბოდიში მოიხადოს ჩემს წინაშე ქალაქ გორის ერობის გამგეობასთან, ან და გამომყვეს სამედიატორო სასამართლოში; სტყუანმა პირმა გადაიხადოს 500 მანეთი ჯარიმა ქ. თფილისის ობლების თავშესაფარის სასარგებლოდ. ჩემის მხრით მედიატორეთ ვასახელებ მღვდ. კოლა კობერიძეს. დროს ვაძლევ საპასუხოთ ორი კვირას დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა.

ა. თენიეშვილი.


# განცხადებანი

ცეკვის სასწავლებელი
**ი. ა. როზენბერგისა.**
27 წელიწადია ასწავლის სპეციალურად: აზიურს, ბალეტო და ევროპიულ ცეკვებს. მეცადინეობა ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ჩქარი და კარგად შესწავლისათვის იძლევა სრულ პირობას. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა № 101. (3331-5-3)

ხადგურ ხუფხაში შუაგულ ბაზარში საყდრის პირდაპირ
**საჩქაროთ იყიდება**
450 საჟენი მიწა ორ სართულიანი
**ქვის შენობა**
ორი თვალი მაღაზია და ოთხი ოთახი. მისამართი სუფსა, გლახა კეჟაყმაძეს. (3401 2—2)

8 იანვარს იხსნება საღამოს ქართული განათლების პირველ დაწყებითი
**კურსები**
ორთავ სქესის სწავლა-განათლებას ჩამორჩენილ მუშათათვის. (ი. მ. მაჩაიძის გიმნაზიის კურსები, ჩერქეზიშვილის ქ. № 22) 9—1 საათ. საღამოს დამაარსებლის ბინაზე, მიხაილოვის პროსპ. № 25. კუთხე ალექსის ქუჩა. № 5. (3387 3—3)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი დ. ს. ჯაშახიშვილი. იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი [illegible]. იღებს შინაგან, საზებიო და ქალთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. (თ.—3023)

ექიმი ქალი რ. ბ. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible] წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშვალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების, ჰაჰების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ფიზიოთერაპევტიური კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—8 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (თ.3372)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
**ბ. ბ. მებრაგიანი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. [illegible]

ქალ. ხამტრედიაში
ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით ექიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჰების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 [illegible], ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი ქ. ტუშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

**ოზურგეთში** ექიმი ს. მ. ახაშიძე
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით, ქ. სიამაიშვილის სახლში. (კუპ. 582)

ექიმი დ. ა. ხარაძე. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, [illegible] ახლოს.

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. გართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და სააკუშერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. სამშ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუმურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“ (2930—თ.)

ექიმი ბ. ი. [illegible]. შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი [illegible] ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი [illegible]
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი ბ. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროსპ. სასტუმრო „ნოვ[illegible]“ [illegible] № 116. ტელ. 14—28

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი
**ბარგის გადაზიდვა**
საბარგო ადგილებით (25 ფუთიდან) ოლღას ქ. № 29. ქალაქთა კავშირის მექანიკური სახელოსნოები, ტელეფონი 1—60. (ნ. 6—1)

**საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი**
საქ. რესპ. ქალაქთა კავშირმა მოაწყო ავტომობილთა მიმოსვლა თფილისსა და დუშეთს შორის. თფილისიდან გადის ექვს ადგილიანი სამგზავრო ავტომობილი ყოველ დღე ქალაქთა კავშირის მექანიკურ სახელოსნოებიდან, ოლღას ქ. № 29, დღის 2 ნახ. საათზე, დუშეთიდან გამოდის ყოველ დღე დილის 7 ნახ. საათზე. სამგზავრო ბილეთი თფილისიდან დუშეთამდე და დუშეთიდან თფილისამდე ღირს —250 მანეთი.
დარჩენილ გაუყიდველ ბილეთებიდან გაიყიდება ბილეთები თფილისიდან მცხეთამდე—150 მანეთი, დუშეთიდან მცხეთამდე 200 მანეთი. (ნ. 5—1)

**ჟურნალ-გაზეთების კანტორა**
**„განათლება“**
უგზავნის აგენტებს: „ერთობას“, „Борьба“-ს, „საქ. რესპუბლიკა“-ს, „სახალხო საქმეს“, „ივერიას“, „Возрождение“-ს, „Слово“-ს, „ეშმაკის მათრახს“, „ცისარტყელას“, „მუშათა ცხოვრებას“, „თეატრს“ და ყველა ახლად გამოსულ წიგნებს, ქარტებს და სურათებს.
ფული და წერილი უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი, ოლღას ქ. № 6, სილ. თავართქილაძეს. (ფ. 3—2)